ეროვნული ბიბლიოთეკა „ეროვნული“ ეროვნული

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№7 (1033) 23 - 25 იანვარი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

გიორგი სალუქვაძე: „მსოფლიომ უნდა დაინახოს სააკაშვილის რეალური სახე“

გვ. 2

რაში დაიხარჯა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

რა ცვლილებები შევიდა სარეზერვო ფონდში, რატომ გადაწყვიტა პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ხარჯების გასაჯაროება და რა პროექტებს დააფინანსებს გიორგი მარგველაშვილი 2015 წელს

გვ. 6

პარლამენტში პრეზიდენტის მისვლის თარიღი ვერ დაუზუსტეს

გვ. 3

რატომ არ სცალიათ დეპუტატებს გიორგი მარგველაშვილის ანგარიშის მოსასმენად

„საფლავიდან 300 მეტრში საოკუპაციო ზოლია, შეიძლებოდა, იქიდან ვინმე გადმოსულიყო და საფლავი დაენაღმა“

რატომ უწოდებს იური ვაზაგაშვილის მკვლელობას ტერორიზმს და როგორ აფასებს საქართველოს უსაფრთხოებას

გვ. 4

ირაკლი სესიაშვილი

როგორი იქნება ორბელიანების რესტავრირებული სასახლე ათონელის ქუჩაზე

რეზიდენციის პროექტზე 21 მილიონი დარი დაიხარჯა

გვ. 3

ემუქრება თუ არა საქართველოს ძილის ეპიდემია

ტერორისტები ციხეში

როგორ გამოიყენეს ნაციონალებმა ქიათურელი „ამფეთქებელი“ აგვისტოს ომის დროს და რისთვის მიუსაჯეს მას 18 წელი

გვ. 8

პატიმრის დღიური

თიბისი ბანკმა ფულადი გზავნილების გათამაშების 10 გამარჯვებული დააჯილდოვა

გვ. 9

გვ. 7

მეორე ეროვნული კონფერენცია საკონსტიტუციო სამართალში!

დარღვევები აჭარის ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებში

გვ. 5

გიორგი სალუქვაძე: „ევროპამ უნდა იცოდეს, ვინ არის სააკაშვილი“

გიორგი იაშვილი

23 იანვარს ბრიუსელში, ევროპარლამენტის შენობაში გამოფენა გაიმართება, რომლის ორგანიზატორი არასამთავრობო ორგანიზაცია „ყველა თაობა საქართველოსთვის“ ხელმძღვანელი, გიორგი სალუქვაძეა. პარალელურად, ბატონი გიორგი ევროპარლამენტარებთან შეხვედრასაც გამართავს და გამოფენის მიზანსაც გააცნობს. „ვერსია“ გიორგი სალუქვაძეს ბრიუსელში დაუკავშირდა.

— ბატონო გია, რასთან დაკავშირებით ეწყობა გამოფენა?

— აქ უამრავი ფოტომასალა ჩამოვიტანეთ და გოგა ხაინდრავას ფილმი „დემოკრატიის შუქურა“. სწორედ ეს ფოტომასალა, რომელიც სააკაშვილის ცხრაწლიანი რეჟიმის ქრონიკაა, უნდა გავაცნოთ ევროპარლამენტარებს.

— და რა არის თქვენს ფოტომასალაში ახალი, ისეთი, რაც ევროპაში არ იციან? ეგ მასალები არაერთმა არასამთავრობომ ჩაიტანა თავის დროზე ბრიუსელამდე.

— გვაქვს თომას ჰამერბერგისა და ქეთრინ ეშტონის დასკვნები, „ჰუმანრაითსვოჩის“ კვლევები... ყველაფერი ის, რაც

კარგად იციან ჰამერბერგმა და ეშტონმა, მაგრამ, ჩვენი აზრით, უნდა იცოდნენ იმ ევროპარლამენტარებმა, რომლებიც საუბრობენ შერჩევით სამართალსა და პოლიტიკურ დევნაზე. მათ უნდა ნახონ, როგორ ჩაცხრილეს ვაზაგაშვილი, რობაქიძე, როგორ აწამეს გირგვლიანი, როგორ ითხოვს ორ გვამს მერაბიშვილი... ეს ყველაფერი უნდა ნახონ, თორემ სააკაშვილს აშკარად თავს გაუვიდა. გვემუქრება კიდეც, ციხეებში ამოგალპობთო და ისე დადის ევროპაში, თითქოს უცოდველი კრავი იყოს. ჩემი სუბიექტური აზრია, რომ სააკაშვილის მთავრობა უკვე ტერაქტებზე გადავიდა და მართალია, ხელს ვერავის დავადებ, ასე ვფიქრობ. უნდა იცოდნენ ევროპელებმა, ვის მასპინძლობენ.

— შეხვედრები ვისთან გაქვთ დაგეგმილი?

— სწორედ იმ ევროპარლამენტარებთან, რომლებიც მხარს უჭერენ სააკაშვილს და ამბობენ, რომ მას ტყუილად დევნიან. ამ ყველაფერს შემდეგ კიევში ჩავიტანთ და ვანახებთ უკრაინელებს, ვისი რეკომენდაციით ნიშნავენ მთავრობაში კადრებს და სადამდე შეიძლება მივიდნენ. მათაც უნდა იცოდნენ, რა გადავიტანეთ ამ 9 წლის განმავლობაში. მე პოლიტპატიმარი ვარ, ციხეში იმიტომ ჩამსვეს, თითქოს პოლიციელს ფორმა ჩამოვახიე და ორი წელი ვიჯექი. ეს უნდა იცოდეს ყველამ, მსოფლიომ უნდა დაინახოს სააკაშვილის რეალური სახე.

ე.წ. სამხრეთ ოსეთი და რუსეთი თანამშრომლობისა და ინტეგრაციის შესახებ შეთანხმების პროექტის განსახილველად სამუშაო ჯგუფს ქმნიან

ე.წ. სამხრეთ ოსეთი და რუსეთი, რუსული მხარის მიერ შეთავაზებული თანამშრომლობისა და ინტეგრაციის შესახებ შეთანხმების პროექტის განსახილველად ერთობლივ სამუშაო ჯგუფს ქმნიან.

Osinform-ის ინფორმაციით, პოლიტიკური საბჭო შეთანხმების პროექტის წინასწარ ვარიანტს ეთანხმება. რუსეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის თანამშრომლობისა და ინტეგრაციის შეთანხმების პროექტი 15 მუხლისგან შედგება.

როგორც შეთანხმების ტექსტშია აღნიშნული, რეგიონში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, მშვიდობისა და უსაფრთხოების რეალური საფრთხის გაზრდით, მხარეები თავდაცვისა და უსაფრთხოების ერთიან სივრცეს ქმნიან: **„რუსეთის ფედერაცია უზრუნველყოფს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის თავდაცვასა და უსაფრთხოებას, სახელმწიფო საზღვრის დაცვის ჩათვლით. ამ მიზნით სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები და უსაფრთხოების ორგანოები შედიან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალებისა და უსაფრთხოების ორგანოების შემადგენლობაში. ამის განხორციელება მხარეებმა უნდა მოახდინონ საბოლოო შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვს თვეში. თუ რომელიმე მხარე აგრესიის ქვეშ (შეიარაღებული თავდასხმა) აღმოჩნდება რომელიმე სახელმწიფოს ან სახელმწიფოების მხრიდან, ეს აგრესია (შეიარაღებული თავდასხმა) მეორე მხარის აგრესიადაც შეფასდება. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან უნდა შეთანხმდეს“.**

პროექტის ტექსტის თანახმად, რუსეთ-სამხრეთ ოსეთის გამშვები პუნქტები უქმდება. მხარეები ასევე ერთობლივად იმოქმედებენ ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმის, ექსტრემიზმის, ნარკოტიკების უკანონო გადაზიდვის წინააღმდეგ.

როგორც შეთანხმების პროექტშია აღნიშნული, „სამხრეთ ოსეთის“ რესპუბლიკის საბაჟო ორგანოები რუსეთის ფედერაციის საბაჟო ორგანოებთან ინტეგრირდებიან საბაჟო საქმის შესახებ კანონმდებლობის საბაჟო კავშირის კანონმდებლობასა და რუსეთის კანონმდებლობასთან უნიფიკაციის გზით.

„რუსეთის ფედერაცია დამატებით ზომებს მიიღებს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოქალაქეების მიერ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მიღების პროცედურების გასამარტივებლად და რუსეთის მოქალაქეობის შესახებ კანონში საჭირო ცვლილებების შესატანად“, — ნათქვამია პროექტის ტექსტში.

შეთანხმების თანახმად, რუსეთის მოქალაქეზე, რომელსაც „სამხრეთ ოსეთის“ მოქალაქეობა ან ბინადრობის ნებართვა აქვს, არ ვრცელდება შეზღუდვები „სამხრეთ ოსეთის“ სახელმწიფო ან მუნიციპალურ თანამდებობებზე დანიშვნისას.

„სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერის ეტაპობრივად, ზრდის სახელმწიფო და მუნიციპალური დაწესებულებების თანამშრომელთა საშუალო ხელფასს რუსეთის ჩრდილოეთ-კავკასიის ფედერალური ოლქის შესაბამის უწყებებში არსებული შრომის ანაზღაურების შესაბამისად. 2016 წლიდან რუსეთის ფედერაცია სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების პენსიების ზრდას უზრუნველყოფს“, — ნათქვამია ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და რუსული მხარის მიერ შეთავაზებული თანამშრომლობისა და ინტეგრაციის შესახებ შეთანხმების პროექტში.

შეთანხმება ასევე ითვალისწინებს „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფას რუსეთის დაზღვევის შესაბამისად, ასევე ე.წ. სამხრეთ ოსეთისთვის კულტურული, სპორტული, ტურისტული პროგრამების განხორციელებაში დახმარებას.

„შეთანხმება ექვემდებარება რატიფიკაციას და ძალაში მხოლოდ სარატიფიკაციო სიგელის გაცვლის შემდეგ შედის. შეთანხმება ფორმდება 25 წლის ვადით და ავტომატურად ხანგრძლივდება მომდევნო ათი წლით, თუ რომელიმე მხარე არ გამოთქვამს წერილობით სურვილს მისი შეწყვეტის შესახებ“.

„ინტერპრესნიუსი“

ვერსიანიუსი

თამაზ სუხიაშვილის ცხედარი ქაშუეთიდან ხაშურში გადაასვენეს

ტაძარში უკრაინაში დაღუპული ქართველი ჯარისკაცის სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა.

თამაზ სუხიაშვილის ცხედარი საქართველოში 22 იანვარს, გვიან ღამით ჩამოასვენეს.

უკრაინაში, დონეცკთან ახლოს ბრძოლების შედეგად ერთი ქართველი სამხედრო დაიღუპა, სამი კი დაიჭრა. უკრაინაში გარდაცვლილი ქართველი სამხედრო ხაშურის მკვიდრი თამაზ სუხიაშვილია, რომელიც 25 იანვარს 37 წლის გახდებოდა. იგი საერთაშორისო სამშვიდობო მისიების მონაწილეა. მას მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

„პირველი“

წყალტუბოს რაიონის მოსახლეობა გზის გადაკეტვით იმუქრება

სოფლების მცხოვრებლები ამბობენ, რომ წინა წლებთან შედარებით სათბურში დათესილ მწვანილს დაბალი ფასი აქვს, რის გამოც ისინი ბანკიდან გამოტანილ სესხებს ვეღარ ფარავენ.

„აგროსესხები გამოვიტანეთ ბანკებიდან, რომ სათბურები გაგვეკეთებინა. ზოგს 5 სათბური გვაქვს, ზოგს 7... იმდენად დაბალი ფასი აქვს მწვანილს, რომ სესხსაც ვერ ვისტუმრებთ, ამიტომ სახლების და უძრავი ქონების გაყიდვის საფრთხე გვიდგას“, — აცხადებს ადგილობრივი ტარიელ ლომიძე.

აღნიშნულის გამო წყალტუბოს რაიონის 7 სოფლის მოსახლეობა ხვალ საპროტესტო აქციის გამართვას და ცენტრალური გზის გადაკეტვას გეგმავს.

„პირველი“

შსს-ს თანამშრომლებმა რეკორდი დაამყარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპორტულ კომპლექსში მსოფლიოს ცამეტგზის რეკორდსმენმა, შსს-ს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის თანამშრომელმა, პოლიციის მაიორმა იოსებ ხუციშვილმა ორ ხელზე, ამოტრიალებული მტევნებით აზიდვაში გინესის რეკორდი დაამყარა. მან ბრიტანელი რეკორდსმენის მიერ 2011 წელს დამყარებული რეკორდი მოხსნა და ამოტრიალებული ხელის მტევნებით, 28,2 კილოგრამიანი სიმძიმით, ერთ წუთში 55 აზიდვა შეასრულა.

იოსებ ხუციშვილმა პირველი მსოფლიო რეკორდი აზიდვებსა და ორძელზე აზიდვაში 2010 წელს, ხოლო მეორე რეკორდი — ცალი ხელით აზიდვაში 2013 წელს დაამყარა. მისი სარეკორდო ღონისძიებები შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობით ტარდება.

პოლიციის ლეიტენანტმა, ვახტანგ ლუქუნიძემ კი ტურნიკზე (ჰორიზონტალურ ძელზე) ე.წ. თავისუფალ მიზიდვაში ეროვნული რეკორდი დაამყარა. მან ერთ წუთში 45 აზიდვა შეასრულა. ვახტანგ ლუქუნიძისთვის ეს სარეკორდო ასპარეზობა პირველი იყო, თუმცა იგი წარმატებით ასპარეზობს სპორტის სხვა სახეობაში – არის რაიონული, რეგიონული და ეროვნული ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი, ასევე, საქართველოს ჩემპიონი კარატეში. იგი ამჟამადაც აქტიურად ემზადება კიოკუშინკაი კარატეს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში (აბსოლუტურ წონით კატეგორიაში) მონაწილეობის მისაღებად.

შსს-ს თანამშრომლების მიერ დამყარებული რეკორდი საქართველოს რეკორდების ფედერაციის მსაჯებმა დააფიქსირეს. სპორტული ღონისძიების მონაწილეებს წარმატება შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა მიულოცეს.

„ვერსიანიუსი“

როგორი იქნება ორბელიანების რესტავრირებული სასახლე ათონელის ქუჩაზე

გიორგი იაშვილი

ათონელის №25-ში არსებული ახალი რეზიდენციის რემონტი დასასრულს უახლოვდება და მალე სრულ მზადყოფნაში იქნება ახალი ბინადრების მისაღებად. მისი სახით თბილისი შეიძენს ულტრათანამედროვე აღჭურვილობის მქონე რეზიდენციას, რომელიც სრულებით დაიტევს ადმინისტრაციულ პერსონალს და გათვლილია უმაღლესი დონის დელეგაციების მიღებაზე. ორბელიანების სასახლედცნობილი ნაგებობა ახალ ფუნქციას იძენს და როგორც დედაქალაქის, ისევე ქვეყნის სახე და სავიზიტო ბარათი ხდება.

სასახლე, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში აშენდა, მდიდარი ისტორიითაა ცნობილი. სახელწოდება ამ შენობამ გრიგოლ ორბელიანისგან მიიღო მემკვიდრეობით, რომლის საცხოვრებელი სახლიც იდგა სწორედ ამ ადგილას. გრიგოლ ორბელიანის (1804-1883) საკუთრებას წარმოადგენდა მიმდებარე მიწებიც იმ კუნძულის ჩათვლით, სადაც ახლა დედაენის პარკია და რომელსაც მოგვიანებით მადათოვი ეწოდა. გ. ორბელიანის პერიოდიდან შემორჩა საბრძოლო გოდოლი, რომელიც ოდნავ ქვევით, ახლანდელი კულტურის სამინისტროს შენობის ზედა კუთხეში მდებარეობს. ამ მასშტაბით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რამხელა მიწას ფლობდნენ ორბელიანები თბილისის შემოგარენში. გრიგოლი ხანგრძლივი სამხედრო სამსახურის შემდეგ დაუბრუნდა თბილისს და 1958 წლიდან 25 წლის განმავლობაში ცხოვრობდა თბილისის რეზიდენციაში. ორბელიანების სახლი მაშინდელი ქალაქის არისტოკრატიის შეკრების ადგილი იყო, სადაც იქმნებოდა საზოგადოებრივი აზრი საქართველოს სვე-ბედთან დაკავშირებით. მის სახლში ნამყოფია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ყველა გამორჩეული მოღვაწე. მოგვიანებით, რეზიდენცია განახლდა და მივიღეთ დღეს არსებული შენობა ისტორიული იერსახით.

საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ შენობას ექსპროპრიაცია გაუკეთდა და იქ სხვადასხვა ადმინისტრაციული უწყება განთავსდა. იგივე ბედი ეწია თბილისის სხვა გამორჩეულ სასახლეებსაც. საბჭოთა კავშირის გვიანდელ პერიოდში შენობაში განთავსებული იყო დაწესებულება, რომელიც უცხოეთთან ურთიერთობის საკითხებზე მუშაობდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როდესაც საერთაშორისო ასპარეზზე დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის აღიარების პროცესი, თბილისში დაიწყო უცხო ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობების გახსნა. 1992 წელს ორბელიანების სასახლეში საქართველოს გამორჩეული პარტნიორისა და მეგობარი ქვეყნის, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ დაიდო ბინა. შენობაში 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ფუნქციონირებდა საელჩო და მისი საკონსულო განყოფილება, ხოლო საელჩოს დიღომში გადატანის შემდეგ იქ USAID-ის ოფისი გადავიდა.

შენობის რესტავრაცია 2011 წლიდან დაიწყო და პირველ ეტაპზე ის ვანო მერაბიშვილის საპრემიერო რეზიდენციად მოიაზრებოდა. ხელისუფლებისა და კონსტიტუციის შეცვლის შემდეგ კი მთავრობამ სურვილი გამოთქვა, რეზიდენცია პრეზიდენტს გადასცემოდა. ვინაიდან სამუშაოები უკვე დაწყებული იყო და პროექტით გათვალისწინებული თანხის დიდი ნაწილიც დახარჯული, სახელმწიფო ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანიამ, რომელმაც გააგრძელა მშენებლობა, მისი დასრულება გადაწყვიტა. მთლიანობაში, პროექტზე 21 მილიონი ლარი დაიხარჯა და 1500 კვადრატული მეტრი ფართობის კეთილმოწყობილი, თანამედროვე, ისტორიული ღირებულების მქონე რეზიდენცია მივიღეთ.

ახალი კონსტიტუციური რეალობიდან გამომდინარე, პრეზიდენტის როლი მხოლოდ წარმომადგენლობითია და ქვეყნის რეალური მმართველი პრემიერ-მინისტრია. ამ ცვლილებამ განაპირობა პირველი პირების ადმინისტრაციის მასშტაბის შემცირებაც. პომპეზური შენობა, რომელიც სააკაშვილმა საკუთარ პერსონას მოარგო, ათობით ათასი კვადრატული მეტრის მოცულობისაა, რაც საკმაოდ ძვირად შესანახად აქცევს მას შესაბამისი გამოყენების გარეშე. ათონელზე რეზიდენციის საბოლოო დამთავრებისთანავე, სავარაუდოდ, განახლდება კონსულტაციები მის გამოყენებასთან დაკავშირებით, მანამდე კი სასიხარულოა, რომ თბილისს კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი, წარმომადგენლობითი ნაგებობა შეემატა, რომელიც სრულად დაიბრუნებს თავის ისტორიულ და კულტურულ მნიშვნელობას. მისი ფასადი წლების მანძილზე იყო დაფარული ჯერ საელჩოს წინ აშენებული კედლით, ხოლო შემდეგ სამშენებლო ხარაჩოებით.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება, რასაც აუცილებლად გამოიწვევს რეზიდენციის ფუნქციონირება — დღეს, ათონელის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია საკმაოდ სავალალო მდგომარეობაშია. მეზობელი სახლების ფასადები და ასევე ავარიული შენობები, რესტავრაციას საჭიროებს. რეზიდენციის არსებობა დააჩქარებს კოლმეურნეობის მოედნის მიმდებარე უბნის რეაბილიტაციის პროცესს და ძველი თბილისის ეს ღირსშესანიშნავი, ისტორიული უბანი დაიბრუნებს ძველ ბრწყინვალებას.

პარლამენტში პრეზიდენტის მისვლის თარიღი ვერ დაუზუსტეს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

22 ივნისს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომა წუთიერი დუმილით დაიწყო. დეპუტატებმა ტრაგიკულად დაღუპული იური ვაზაგაშვილის ხსოვნას პატივი მიაგეს და კიდევ ერთხელ გამოთქვეს იმედი, რომ პროკურატურა ახლა უკვე ორი ვაზაგაშვილის სისხლიან მკვლელობას უსწრაფესად გამოიძიებს. ამის შემდეგ, კომიტეტი მუშაობას ჩვეულ რეჟიმში შეუდგა და ეს დღე მთელი პარლამენტისთვის დატვირთული აღმოჩნდა. ჯერ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომა ჩატარდა, სადაც ორი საკითხი განიხილეს:

ვის და რაფომ არ სურს ვაზაგაშვიდების საქმეების დახურულ სხდომაზე განხიდვა და გახდება თუ არა ქრისტიანობა საქართველოს სახელმწიფო რელიგია

პირველი — სახალხო დამცველის ინიციატივა, ე.წ. სასამართლო მეგობრის ინსტიტუტის დამკვიდრების თაობაზე. ეს ინსტიტუტი სისხლის სამართლის პროცესებში უკვე არსებობს და ორგანულ კანონშიცაა ასახული, თუმცა, რატომღაც, საპროცესო სამართალწარმოების დროს, მოსამართლეები ამ კანონით არ ხელმძღვანელობენ და საქმეში მხარის მიერ „სასამართლო მეგობრის“ ჩართვის მოთხოვნას არ აკმაყოფილებენ. ამის შესახებ პარლამენტში ომბუდსმენის ოფისის წარმომადგენელმა, დავით მანაგაძემ ისაუბრა. ცვლილება საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლში უნდა შევიდეს. თავად „სასამართლო მეგობარი“ კი მსოფლიოში დამკვიდრებული ინსტიტუტია, რომლის არსიც ასეთია: „სასამართლო მეგობარი“ არის პირი ან პირთა ჯგუფი, რომელიც არ არის პირდაპირი მხარე, მაგრამ სასამართლოში მიმდინარე საქმეზე გარკვეული ინფორმაცია ან მასალები აქვს და პროცესში ერთვება. ომბუდსმენის წარმომადგენლების აზრით, მათი ინიციატივის განხორციელების შემთხვევაში საქმეში მეტი „წყარო“ იარსებებს, სახალხო დამცველიც მეტად ჩაერთვება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში და დაზარალებულთა დაცვის შედარებით მაღალი სტანდარტებიც დამკვიდრდება. მათივე თქმით, მომდევნო საკანონმდებლო წინადადება სამოქალაქო კოდექსში მსგავსი ცვლილების შეტანის მიზნითაც მზადდება. ეკა ბესელიამ და კომიტეტის სხვა წევრებმა წინადადებას პირველი მოსმენით, მხარი ერთხმად დაუჭირეს.

მეორე საკითხი მიხეილ-გელა სალუაშვილმა, პარტიიდან „უფლის სახელით — უფალია ჩვენი სიმართლე“ წარმოადგინა და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მოითხოვა. განხილვამ მოგუდული სიცილის ფონზე ჩაიარა, რადგან ბატონი გელა და მისი ორი მხლებელი ერთობ ექსპრესიული ტექსტებითა და არგუმენტებით გამოდიოდნენ. მომხსენებელი თავად სალუაშვილი იყო. მანვე მიმოიხილა ევროპის ქვეყნების მოდელები, ასევე — სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობები, ბოლოს კი მოითხოვა, ეკლესია მთლიანად ბიუჯეტიდან დაფინანსდეს და როგორც სახარებაში წერია, შემოსავლების 10%, გადაეცეს. ამ 10%-ის 10% კი, მისივე თქმით, ეკლესიის მსახურებს უნდა გადაუნაწილდეს. სალუაშვილი დეპუტატთა მხარდაჭერას მეტად საინტერესო არგუმენტის გამო ითხოვდა — საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ჩვენ წმინდა ნინომ გაგვაქრისტიანა, ამ კომიტეტის თავმჯდომარეც ქალია და ამაში არის რაღაც საკრალურიო. რამდენიმეწუთიანი დავის შემდეგ, ბესელია-ფოფხაძემ განმარტეს, რომ მსგავსი წინადადების მხარდაჭერით, ცვლილებები სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებულ კონკორდატშიც და კონსტიტუციაშიც უნდა შევიდეს, რაც საპატრიარქოსთან შეთანხმების გარეშე წარმოუდგენელია. სხდომის ფინალიც ეგ იყო — თავმჯდომარემ ინიციატორებს საქართველოს საპატრიარქოსა და სინოდის პოზიციის დაზუსტება მოსთხოვა და საკითხის განხილვა 10 სამუშაო დღით გადაავადა.

ამასობაში, იურიდიული კომიტეტის სხდომაც ჩატარდა, რომელზეც ზაქარია ქუცნაშვილმა, ანი მიროტაძემ და თამარ კორძაიამ მოითხოვეს, იური და ზურაბ ვაზაგაშვილების საქმეებთან დაკავშირებით, პარლამენტში მთავარი პროკურორი დაიბარონ. ეს მოსაზრება კომიტეტის სხვა წევრებმაც გაიზიარეს, ვახტანგ ხმალაძემ კი განაცხადა, პროკურატურას ამ საკითხზე თავად მივმართავ და თანხმობის შემთხვევაში, დახურული ფორმატის სხდომა გავმართოთო. სამაგიეროდ, ეკა ბესელია და გია ვოლსკი მსგავსი დახურული სხდომების მოწვევის აუცილებლობას ვერ ხედავენ.

იური ვაზაგაშვილზე საუბრით გახსნა ბიუროს სხდომა პარლამენტის თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილმაც: „ფაქტია, ამ საზარელი მკვლელობის სამიზნე მხოლოდ ბატონი იური არ ყოფილა. გაჩუმებას არავინ აპირებს, თუ ამ ყველაფრის მიზანი ქართული სახელმწიფოს გამოცდაა, მაშინ ყველას დავპირდები, ქართველი დედები და მამები თავიანთი დახოცილი შვილებისა და დამნაშავეების დასჯისთვის ბრძოლას აღარ შეეწირებიან!“**

რაც შეეხება საგაზაფხულო სესიისა და პრეზიდენტის პარლამენტში მოსმენის ვადების შეთანხმებას, დადგინდა, რომ პლენარული სხდომა ოთხშაბათს, 4 თებერვალს ჩატარდება. თუმცა, ძალიან ბევრი საქმე და მივლინებაა დაგეგმილი და სავარაუდოდ, პრეზიდენტის მოსმენა 4 თებერვალს არ მოხერხდებაო, — განაცხადეს ბიუროს სხდომაზე და ისე დაიშალნენ, პარლამენტში გიორგი მარგველაშვილის მისვლის თარიღი აღარ დაუზუსტებიათ. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის გიორგი კვერენჩხილაძის განმარტებით, თარიღი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. გიორგი მარგველაშვილი კი მზადაა, დეპუტატების პირისპირ ნებისმიერი ფორმატის ფარგლებში წარდგეს.

„საფლავიდან 300 მეტრში საოკუპაციო ზოლია, ასე რომ, თავისუფლად შეიძლებოდა, იქიდან ვინმე გადმოსულიყო და დაენაღმა“

რატომ უწოდებს ვაზაგაშვილის მკვლელობას ტერორიზმს და როგორ აფასებს საქართველოს უსაფრთხოების სისტემის მუშაობას ირაკლი სესიაშვილი

ნინო კომახიძე
599-95-33-16

იური ვაზაგაშვილის მკვლელობის შემდეგ ხელისუფლება ნელ-ნელა შოკიდან გამოდის. სამაგიეროდ, ფორმაში სამოქალაქო და არასამთავრობო სექტორია და მასშტაბურ აქციებს აანონსებს. შეძლებს თუ არა ხელისუფლება პროტესტის ახალი ტალღის გადაგორებას და ტრაგიკულად დაღუპული იური ვაზაგაშვილის საქმის გამოძიებას? მზადაა თუ არა ქვეყნის უშიშროება მსგავს, შიდა თუ გარესაფრთხეებს გაუმკლავდეს?

— „ვერსიის“ კითხვებს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი პასუხობს:

— ბატონი იური ძალიან მაგარი კაცი იყო, მასთან ახლო ურთიერთობა მქონდა. იმ დღიდან ვიცნობდი, როცა სამოქალაქო ბრძოლაში ჩაერთო ძალადობისა და მკვლელობის წინააღმდეგ. მახსოვს, როცა ირინა ენუქიძეც ცოცხალი იყო, შვილმკვდარი მშობლები ამბობდნენ, ჩვენი შვილები ვერ დავიცავით, მაგრამ სხვისი შვილები მაინც დავიცვათო. ამ საქმისთვის პროკურატურის მიერ მიცემულ კვალიფიკაციას ვეთანხმები. იქ ერთი დამამძიმებელი გარემოებაცაა — სხვა ადამიანებისთვის დამატებითი საფრთხის შექმნა. თუმცა ამ საქმეს ტერორიზმად მივიჩნევ. ბევრი ვიფიქრე, რა შეიძლება ყოფილიყო დაინტერესებული მხარის მოტივაცია: არ გამოვრიცხავ, საქმე შემკვეთთანაც გვქონდეს. თუკი ვიღაცის მოტივაცია ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმის შეჩერებაა, მაშინ ის შედეგს ვერ მიიღებს, რადგან ამ თემით საზოგადოებაცა და ხელისუფლებაც ორმაგად დაინტერესდებოდა. ისიც ვიფიქრე, შეიძლება, ეს მკვლელობის კი არა, დაშინების სურვილი იყო-თქო, თუმცა შვილმკვდარ მშობლებს ვეღარავინ შეაშინებს. ტერორიზმის მიზანი ფართო საზოგადოების შოკირება, დაუცველობის განცდის დამკვიდრებაა. ასეთი კითხვაც ჩნდება — ეს ყველაფერი ჩვენი ბრალი ხომ არ არის, შვილის საქმე დროულად რომ ვერ გამოვიძიეთ? თავში მეც ბევრი აზრი მიტრიალებს, ამ ამბავს კი ტერორისტულ აქტად იმიტომ ვაფასებ, რომ რომელიმე მოწმე უბრალოდ კი არ შეაშინეს, მებრძოლი მამა მოკლეს შვილის საფლავზე.

— წინასწარი ინფორმაციით, ზურაბ ვაზაგაშვილის საფლავზე აღმოჩენილი ნაღმი საბრძოლო ასაფეთქებელი იყო. ვის აქვს დღეს წვდომა მსგავს ასაფეთქებელთან?

— ექსპერტიზა არ დასრულებულა. ჯერ, პროკურორებმაც არ იციან, რა ტიპის ასაფეთქებელი იყო საფლავზე, ამიტომ დასკვნებს ვერ გავაკეთებთ. 21-ე საუკუნეში, ნებისმიერ სუპერმარკეტში შეგვიძლია იმ მასალის შეძენა, რითაც ასაფეთქებელი ნივთიერება მზადდება. პანიკას არ ვთესავ, ასეა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და, თუკი საქმე პროფესიონალთან გვაქვს, არც ხელნაკეთი ბომბის დამზადებაა რთული, მით უმეტეს, ამის ამოკითხვა ინტერნეტშიც შეიძლება.

— ოპონენტებს ამ ტრაგედიამ „სატოპკე“ ისევ აუწია — მათი შეფასებით, „რაფალიანცის საქმის“ მსგავსად ესეც შეიძლება აქილევსის ქუსლად იქცეს ხელისუფლებისთვის.

— ნაციონალურ მოძრაობას ხმა არ ამოეღება — ეს კარგად დაიმახსოვრონ! ერთადერთი, რაც მათ შეუძლიათ, სიცოცხლის ბოლომდე ბოდიშისხდაა. მათი ლაყბობა ჩემთვის ამაზრზენია. ისინი არ მაინტერესებს. გული მწყდება, რომ ეს საქმეები დროულად ვერ გამოვიძიეთ და მკვლელებს პასუხი თავის დროზე არ გავეცით! არ მინდა ისე გამომივიდეს, რომ ხელისუფლებაში ვარ და ვწუწუნებ, რადგან ობიექტური მიზეზებიც არსებობს — ზურა 2006 წელს მოკლეს და საქმე თავიდან ბოლომდე გაყალბებული დაგვხვდა, მტკიცებულებები — განადგურებული, ხელისუფლების ნაწილი — გაქცეული.

— იური ვაზაგაშვილი ბოლო დღემდე ამბობდა, რომ ახალი მასალები ჰქონდა, საქმეში კი ახალი მოწმე გამოჩნდა.

— ბატონი იური ძალიან ემოციური კაცი იყო და ბევრი რამ, რასაც მტკიცებულებად მიიჩნევდა, ინფორმაცია უფრო იყო. პროკურატურას ცოტა მეტი მოეთხოვება, ტაქტიკური თვალსაზრისითაც — ეჭვმიტანილი თავიდანვე რომ დაკითხო და ყველა კარტი გაუშალო, შეიძლება, მთელი მუშაობა წყალში ჩაყარო. პროკურატურისგან ის ვიცი, რომ ბატონი იური ბოლოს იქ ხშირად დადიოდა, იყო ახლადაღმოჩენილი გარემოებაც, ერთ-ერთი მოწმის ჩვენება. თუმცა საქმე იმდენად არეულ-დარეული დაგვხვდა, ვერც პროკურატურას მოვთხოვთ, ყველაფერი ერთ დღეში დაალაგოს. ასე მარტივად არაა ყველაფერი, ხალხო!

— ახლა ხომ დგახართ ცხელ კვალზე და გამოიძიეთ იური ვაზაგაშვილის საქმე დროულად!

— ვიცი, ბატონ იურის კრიტიკული განწყობა ჰქონდა ჩვენი ხელისუფლების მიმართ, ამაზე პირადადაც გვისაუბრია. მისი კრიტიკა იმით იყო მოტივირებული, რომ მთავრობა გაცილებით ეფექტური ყოფილიყო.

— და ახლა რას აკეთებს ხელისუფლება პრევენციისთვის, მით უმეტეს, თუკი ამას ტერორისტულ აქტს თავად უწოდებთ, შვილმკვდარი მშობლები კი კითხვას სვამენ — ვინ იქნება შემდეგი?!

— ღმერთმა დაგვიფაროს, ვინმე შემდეგი იყოს, მაგრამ გამორიცხული არაფერია. როცა ითქვა, პროცესში ყველა სამართალდამცავია ჩართულიო, ნიშნავდა, რომ პროკურატურა საქმეს უბრალოდ კი არ იძიებს, მთელი უსაფრთხოების სისტემაა დაქოქილი, რათა უშიშროებამ წინასწარ მიიღოს ინფორმაცია მოსალოდნელი ტერაქტებისა თუ მსგავსი ჩანაფიქრის შესახებ.

— ერთი ვერსიით, ეს აფეთქება, შესაძლოა, მსოფლიო ტერორისტული აქტების გაგრძელებაა და პროცესი ქვეყნის გარედან იმართება. შესაძლოა, მიზანი საქართველოში დესტაბილიზაციის შექმნის მცდელობა იყოს?

— არ მინდა, საზოგადოება არასწორი მიმართულებით წავიყვანო, რადგან მართლაც ბევრი ვერსია ტრიალებს. დღეს ჩვენ ცხელ გულზე ვსაუბრობთ, გამოძიების ამოცანა კი ამ ვერსიების გამოხშირვა და ერთის დატოვებაა. პროკურატურას უნდა მოვთხოვოთ, საქმე მაქსიმალურად სწრაფად გამოიძიოს და თუ გამოძიება ჩიხშია, ესეც დროულად გვითხრას. თუმცა ერთი დამაფიქრებელი ფაქტის შესახებ შემიძლია გითხრათ — ზურაბ ვაზაგაშვილის საფლავიდან 300 მეტრში საოკუპაციო ზოლია, ასე რომ თავისუფლად შეიძლებოდა, იქედან ადამიანი გადმოსულიყო, საფლავი დაენაღმა და უკან გადასულიყო. თუ ასეთი რამ მართლა მოხდა, ძალიანაც რომ გვინდოდეს, შესაძლოა, ვერაფერიც ვერ გამოვიძიოთ.

— ამ ამბის ლოგიკური გაგრძელება აქციებია, რაც ნანა კაკაბაძემ და სხვებმა უკვე დააანონსეს. ადამიანებს ვერ მოსთხოვთ, მუდმივად პროკურატურის მდგომარეობაში შევიდნენ — მასშტაბურ აქციებს ელით?

— ვისაც აქციის მოწყობა სურს, მოაწყოს, მისი გადასაწყვეტია. როცა აქციებს ჩვენ თვითონ ვაწყობდით, ნანა კაკაბაძესთან ერთად, ვიცოდით, ვინ იყო დამნაშავე. ახლა, საგამოძიებო პროცესში დაინტერესებული მხარე, ადვოკატი, ექსპერტიზაა ჩართული, ოჯახის წევრებს საგამოძიებო პროცესზე სრული წვდომა აქვთ, ამიტომ ცოტა კონკრეტულად უნდა გვითხრან, ამ აქციაზე რისთვის გამოდიან და ვისთან რა პრეტენზია აქვთ. პოლიტიკურად, ყველაზე მეტად, პირველ რიგში, ჩვენ ვართ დაინტერესებული საქმე გამოვიძიოთ და დამნაშავეები დავსაჯოთ. მესმის, ბევრი გამოუძიებელი საქმეა და რიგში კიდევ ათასობით ადამიანი დგას, თუმცა ჩვენი ობიექტური მიზეზებიც უნდა გაიგონ. აქციების არ მეშინია. იმისთვის ვიბრძოდი, ადამიანებს პროტესტის გამოხატვა თავისუფლად შეძლებოდათ. თუ ხელისუფლებაში ხარ, კრიტიკასაც უნდა მოუსმინო და, თუ საჭიროა, მოიბოდიშო.

— პირდაპირ გკითხავთ, რადგან მსგავსმა რადიკალურმა ფრაზებმა უკვე გაიჟღერა — შეიძლება „ოცნება“ ამ სკანდალურ საქმეს გადაყვეს?

— მთავარი არაა, სკამზე ვიჯდები თუ არა. ქვეყანაში კანონის უზენაესობა უნდა იყოს, თორემ ქვეყნის არადემოკრატიულად მართვა ყველაზე ადვილია. ასე იქცეოდა სააკაშვილი — ერთ დღეს ტერაქტი მოხდებოდა, მეორე დღეს უკვე დამნაშავეების აღიარებითი ჩვენება ჰქონდა. ასე იხსნებოდა ტერაქტებისა და შპიონაჟის საქმეები ორ დღეში. ამ მეთოდებით რომ არ გვინდა ქვეყნის მართვა, ამიტომ გვჭირდება მეტი დრო და მოთმინება, თორემ ჩემი სკამი არაფერია — როგორც ვცხოვრობდი, დღესაც ისე ვცხოვრობ, ხვალაც ისე ვიცხოვრებ და ეს სწორედ ნანა კაკაბაძემ იცის ყველაზე კარგად.

— მიპასუხეთ როგორც თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ — მსოფლიო ტერაქტების, ამ ვანდალური მკვლელობისა და თქვენი კოლეგების, თუნდაც ალექსანდრე პეტრიაშვილის განცხადების ფონზე, რომ საქართველოს უშიშროება სუსტია, ამ საფრთხეებსა და გამოწვევებთან გამკლავება და მომდევნო ტერაქტების თავიდან აცილება შეგვიძლია?

— პირველ რიგში, ჩემს მეგობარ ბუკას ვურჩევ, ასეთ განცხადებებს მოერიდოს. იგი ხელისუფლებაში იყო და ყველაზე კარგად იცის, რა კეთდებოდა ქვეყანაში, განსაკუთრებით, უსაფრთხოების გაძლიერების თვალსაზრისით. სამწუხაროდ, დღეს ამ პარტიის განცხადებები ნაციონალებისას ემთხვევა. არ მინდა, ჩემი მეგობრები მათ დაემსგავსონ, რადგან ერთად ვიბრძოდით და შესაძლოა, მომავალში ისევ ერთად ბრძოლა მოგვიხდეს. მგონი, თავისუფალმა დემოკრატებმა სხვა ნიშა უნდა მოძებნონ — ხელისუფლება საქმიანად აკრიტიკონ და ქვეყნისთვის საჭირო ოპოზიცია გახდნენ. თუ ამ არჩევანს თავად ვერ აკეთებენ, გავახსენებ, რომ ძალიან ცოტა ხნის წინ წავიდნენ ხელისუფლებიდან და, თუ ასეთი გულწრფელი პოლიტიკოსები არიან, რამე არ მოსწონდათ, ხმა თავის დროზე ამოეღოთ! მით უმეტეს, მათი ლიდერი თავდაცვის მინისტრი იყო. ახლა რა გამოდის — ირაკლი ალასანია და ბუკა პეტრიაშვილი ხელისუფლებიდან წავიდნენ და უსაფრთხოება მოგვისუსტდა?! ეს არასერიოზულია და ძალიან ვწუხვარ, ამის თქმა რომ მიწევს.

— კითხვაზე არ მიპასუხეთ — მზადაა თუ არა საქართველოს უსაფრთხოება, ქვეყნის შიგნით და გარეთ არსებულ გამოწვევებს უპასუხოს?

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ უსაფრთხოების სისტემა დღეს იმაზე ბევრად ძლიერია საქართველოში, ვიდრე ოდესმე. ჩვენ უშიშროებას პოლიტიკური მოტივაცია მთლიანად გამოვაცალეთ და დღეს ყველა თავის საქმეს აკეთებს. რისკები გაზრდილია, რადგან ადამიანებს წამებითა და გაუპატიურებით არ ვემუქრებით, მაგრამ, რაკი დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრება გვინდა, ამ რისკებსაც უნდა შევეგუოთ. სისტემა მუშაობს და ყველა თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს აკეთებს. ამას ფართო საზოგადოება ვერ დაინახავს, რადგან მსგავსი ინფორმაციის დიდი ნაწილი გასაიდუმლოებულია, მაგრამ მე ამ ინფორმაციაზე წვდომა მაქვს და რასაც ვხედავ, იმას ვამბობ.

— ალბათ, პოლიტიკური მოტივაციის არარსებობაზე უფრო თამამად მას მერე უნდა ისაუბროთ, რაც ე.წ. კაბელების საქმეს ნათელი მოეფინება, ასე არ არის?

— სისტემის დეპოლიტიზება ხანგრძლივი და რთული პროცესია. იმ ბერკეტზე, რასაც უსაფრთხოების სისტემის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება ჰქვია, უარი ვთქვით. მთავარი ესაა, თორემ, ტექნიკურად, შესაძლოა, კიდევ ბევრი რამ იყოს გასაკეთებელი.

ვერსიანიუსი

იური ვაზაგაშვილის გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით პროკურატურა განცხადებას ავრცელებს

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ამ ეტაპზე მაღალი ალბათობით შეიძლება თქმა, რომ იური ვაზაგაშვილის გარდაცვალების მიზეზი ასაფეთქებელი მოწყობილობის აფეთქების შედეგად მიყენებული დაზიანებები უნდა გამხდარიყო: **„საქართველოს მთავარი პროკურატურა იური ვაზაგაშვილის გარდაცვალების საქმეზე გამოძიებას აწარმოებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, რაც გულისხმობს განზრახ მკვლელობას ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. გამოძიების დაწყებისთანავე, სწრაფი და ეფექტური გამოძიების უზრუნველსაყოფად შეიქმნა საგამოძიებო ჯგუფი, მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილისა და შიდა ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებლების მონაწილეობით. გამოძიების ამ ეტაპზე დათვალიერებულია შემთხვევის ადგილი, გარდაცვლილის გვამი, შემთხვევის ადგილიდან და გვამიდან აღებულია შესაბამისი ნიმუშები, დათვალიერებულია გარდაცვლილის კუთვნილი ავტომანქანა, დანიშნულია სხვადასხვა სახის აუცილებელი ექსპერტიზები გარდაცვალების მიზეზის, ასაფეთქებელი მოწყობილობის სახეობის, მოდელის და მდებარეობის, ასევე საქმის სხვა ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად. ამ ეტაპისთვის, საქმეზე მოწმის სახით დაკითხულია 30-მდე პირი. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე ამ ეტაპზე ვერ ვისაუბრებთ მომხდარის შესაძლო საგამოძიებო ვერსიებსა და საქმის გარკვეულ დეტალებზე, რადგან ამან შეიძლება დააზიანოს გამოძიების ინტერესები“.**

„პირველი“

დარღვევები აჭარის ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებში

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„ვერსია“ განაგრძობს აუდიტის სახელმწიფო სამსახურის მასალების გამოქვეყნებას, რომლებიც ექსკლუზიურად, ოფიციალური წერილის საფუძველზე მოვიპოვეთ. სხვადასხვა უწყების შემოწმების აქტები აუდიტის სახელმწიფო სამსახურმა მთავარ პროკურატურაში უკვე გადაგზავნა. ამჯერად, აუდიტის სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენლების მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის, 2011-2012 წლების ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების აუდიტის ანგარიშებს წარმოგიდგენთ. შემოწმების ანგარიშები სახელმწიფო აუდიტორებმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ნუგზარ სურმანიძეს, მინისტრის პირველ მოადგილეს რომან ბოლქვაძეს, თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარეს, ირაკლი ჩავლეიშვილსა და ბათუმის მერს, ჯემალ ანანიძესაც გადაუგზავნეს.

სახელმწიფო აუდიტის სკანდალურ დასკვნაში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის“ დარღვევისა და საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის ფაქტები ფიგურირებს

დარღვევები ელექტრონულ ტენდერებში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატში, ჯანმრთელობის დაცვის მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად, სამედიცინო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მონიტორინგს ახორციელებს პროგრამების მართვისა და მონიტორინგის განყოფილება. ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, სწორედ მისი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ინპექტირების აქტია პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველი. სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა — როდესაც ცალკეულ სამედიცინო დაწესებულებებზე ინსპექტირების აქტების შესაბამისად, გამოყენებულია ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის დადგენილი სანქციები, სხვა იდენტურ შემთხვევებში, თანაც სათანადო დასაბუთების გარეშე, სახელშეკრულებო პირობების უგულებელყოფით, პირგასამტეხლო არ დაუკისრებიათ, რამაც ბიუჯეტისთვის 13 084 700 ლარის დამატებითი შემოსავალი წარმოშვა. რაც მთავარია, ხელშეკრულებით დადგენილი პირგასამტეხლოს დაკისრების მექანიზმი არასრულყოფილია, რაც სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

სამინისტროს აპარატმა, 5 წელზე მეტი წლოვანების, 4 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების მიზნით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ხელშეკრულება გაუფორმა შპს „ირბათ ფ.6“-ს. გაწეული მომსახურების ღირებულება და სამინისტროს საკასო ხარჯი 15 975 ლარი იყო, საიდანაც 10 384 ლარის მომსახურება ხელშეკრულებით საერთოდ არ ყოფილა გათვალისწინებული. მომსახურების თითოეული პუნქტის ფასი მხარეთა ზეპირი შეთანხმების საფუძველზე განისაზღვრა; მეტიც — მომსახურება ქვეკონტრაქტორებმა განახორციელეს, მაგრამ სამინისტროს შესაბამისი შეთანხმება არ გაუფორმებია. გარდა ამისა, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ საჯარიმო სანქციებს არ ითვალისწინებს, რის გამოც სახელმწიფო აუდიტებმა დაასკვნეს, რომ ეს შესყიდვა მაღალი რისკისშემცველია.

სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა“, მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენის პროგრამის ფარგლებში, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ხელშეკრულება გაუფორმა შპს „ბათუმის 1 პოლიკლინიკას“. დოკუმენტის მიხედვით, მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელებულიყო 2012 წლის 31 დეკემბრამდე, გეგმა-გრაფიკის საშუალებით. მიმწოდებელმა დადგენილი ვადა დაარღვია, მაგრამ ცენტრმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები არ გამოიყენა. არადა, პირგასამტეხლოს სახით, მიმწოდებელს 1 782 200 ლარის ოდენობის ჯარიმა უნდა დარიცხვოდა.

შიდაკონტროლის სისტემის ხარვეზები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატმა, სამედიცინო დაწესებულებების ინვენტარით აღჭურვის მიზნით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა. ტენდერზე სამედიცინო მოწყობილობების სავარაუდო ღირებულება — 60 000 ლარი, ბაზრის კვალიფიციური შესწავლის გარეშე დაადგინეს. ერთი ერთეული დეფიბრილატორის სავარაუდო ღირებულებად — 3 500 ლარი, ხოლო კარდიოგრაფის ღირებულებად — 1 300 ლარი განსაზღვრეს. ამის მიუხედავად, სამინისტროს აპარატმა თითოეული მისაწოდებელი საქონლის მაქსიმალური ფასის შესახებ ინფორმაცია სატენდერო დოკუმენტაციაში არ ასახა. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ „სენტინელი ჯი ემ ჯი“, ტექნიკური პირობების შესაბამისად, შემსყიდველს წარუდგინა შესაბამისი სერტიფიკატები და ინფორმაცია მიწოდებული საქონლის შესახებ. სერტიფიკატების თანახმად, მიმწოდებელს Vcomin Technology Limited-ის მიერ წარმოებული სამედიცინო მოწყობილობები უნდა მიეწოდებინა, მაგრამ ამის ნაცვლად, სამინისტროს All Pro Corporation-ის წარმოებული პროდუქცია ჩააბარა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ სახეზეა განსხვავებული მახასიათებლების მქონე, სხვა კომპანიის მიერ წარმოებული საქონლის მიღებაჩაბარება, რომლის ხარისხთან შესაბამისობა აუდიტორებმა ვერ დაადასტურეს, რადგან სამინისტროს აპარატს შესაბამისი დოკუმენტები არ წარუდგენია.

ამბულატორიული ტრავმატოლოგიური დახმარების ფარგლებში, შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ მიერ, ორი და მეტი კოდით განხორციელებული სამედიცინო მომსახურების ტესტირებით დადგინდა, რომ 34 შემთხვევაში, ბენეფიციარებმა სრულად ვერ ისარგებლეს ვაუჩერის პირობებით, რის გამოც სამედიცინო მომსახურების ღირებულების ნაწილს თვითონვე იხდიდნენ. მეტიც, ერთი და იგივე სამედიცინო მომსახურებაზე ორჯერ ანაზღაურების ფაქტებიც დაფიქსირდა, როგორც ბენეფიციარების, ასევე სამინისტროს მიერ. სახელმწიფო აუდიტებმა სამედიცინო დაწესებულებების მიერ სამინისტროსთვის თანხების ზედმეტად მოთხოვნის ფაქტებიც გამოავლინეს.

სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების თანახმად, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანის თემის სამედიცინო პუნქტის ექიმს სამედიცინო მომსახურება უნდა გაეწია. ამ დახმარების ფარგლებში, სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე გადახდილი თანხა ხელფასად, ანუ შრომის ანაზღაურებად ითვლებოდა, მაგრამ ამ მიზნით, სამინისტროს მიერ გადახდილი თანხა დაფინანსებულია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით. რაც მთავარია, სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე გაფორმებული ხელშეკრულებები, შინაარსით, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებია. სამინისტროს აპარატმა, ფარმაცევტული პროდუქტის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა, მაგრამ შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ პარამეტრებში კონკრეტული სასაქონლო ნიშნები ანუ დასახელებები მიუთითა, რითაც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 პრიმა მუხლის მე-6 პუნქტი დაარღვია.

თემის სამედიცინო პუნქტების ექიმამდელი სამედიცინო დახმარების განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, ხელშეკრულებისა და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტების გაფორმების გარეშე, თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებულ მედდებზე, „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით, 29 500 ლარი გადარიცხეს. სახელმწიფო აუდიტებმა დაასკვნეს, რომ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება და მიზანი, სამინისტროს აპარატის მიერ განხორციელებულ დაფინანსების ფორმასთან სრულ შეუსაბამობაშია. ამ პროგრამის თანახმად, შერჩეულ სამედიცინო პუნქტებში რეაბილიტაცია უნდა ჩატარებულიყო ან ახალი სამედიცინო პუნქტი აეშენებინათ. არსებული მასალებით კი ირკვევა, რომ სამინისტროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წინასწარ მომზადებული არ ჰქონდა.

რესურსტევადი მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტის ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 3 იანვრის ბრძანებით დამტკიცებულია, რომ ბალონური ანგიოპლასტიკის შემთხვევაში, მომსახურების ღირებულებას აკლდება სტენტის ღირებულება. მინისტრის ბრძანება ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესს ადგენს, თუმცა ეს წესი არ ითვალისწინებს იმ შემთხვევას, როდესაც ანგიოპლასტიკა ბალონის გამოყენების გარეშე ხორციელდება. შპს „ჯანმრთელობის ცენტრი მედინას“ მიერ მიწოდებული მომსახურების ტესტირებით დადგინდა, რომ ასეთ შემთხვევებში, სრულად ფინანსდებოდა ნოზოლოგიური ჯგუფისთვის დადგენილი ტარიფი, რომელსაც ბალონის ღირებულებას არ აკლებდნენ. გამოუყენებელი ბალონის თანხა კი ხარჯებსა და მოგებაზეა გადანაწილებული.

სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა“, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო თემატიკით გაფორმებული სუვენირები, მაისურები, კეპები, სტიკერები, გულსაბნევები და სხვა აქსესუარები შეისყიდა. სახელმწიფო აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ ტენდერის ტექნიკური დოკუმენტაცია ზოგადია, რის გამოც პოტენციური მიმწოდებლისთვის რთულია, კონკრეტული, მისაწოდებელი საქონლის იდენტიფიკაცია. იგივე პრობლემა აღმოჩნდა თემატური, საგანმანათლებლო ღონისძიების (კონკურსი, კონფერენცია, ფესტივალი) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერშიც. ამ ტენდერის ტექნიკური პარამეტრებისა და მომსახურების პირობების საშუალებით, სახელმწიფო აუდიტებმა გასაწევი მომსახურების შინაარსი ვერ დაადგინეს. არადა, გადახდა განხორციელებულია ხარჯის დამადასტურებელი სრულყოფილი დოკუმენტაციის გარეშე.

დარღვევები ბათუმის მერიის სოციალურ პროგრამებში

თვითმმართველი ქალაქ ბათუმის 2011-2012 წლების ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების აუდიტის შედეგად, შიდა კონტროლის სისტემის სისუსტე და ხარვეზები გამოვლინდა. ბათუმის სკოლებში ავადობის გამოვლენისა და მკურნალობის პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტებმა ამ პროგრამით გათვალისწინებული პროცედურების არასრულად ჩატარების ფაქტები გამოავლინეს.

ბათუმის სკოლებსა და საბავშვო ბაღებში, ავადობის გამოვლენისა და მკურნალობის მუნიციპალური პროგრამის 2011 წლის ხარჯი 121 400 ლარი, ხოლო 2012 წელს — 120 400 ლარი იყო. 2011 წელს, ეს პროგრამა ითვალისწინებდა ბათუმის სკოლების მე-8 და მე-12 კლასელთა სამედიცინო გამოკვლევას, რენტგენოგრაფიას, ექოსკოპიას, სამკურნალო მასაჟს, ხოლო 2012 წელს დამტკიცებული პროგრამით, ბენეფიციართა წრე განისაზღვრა ბათუმის მე-9 და მე-11 კლასების მოსწავლეთა, ასევე ბათუმის საბავშვო ბაღების 4-6 წლის აღსაზრდელებით. პროგრამების განსახორციელებლად, 2011-2012 წლებში, 4-ჯერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი და ოთხივე ტენდერში შპს „ბათუმის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრმა“ გაიმარჯვა.

დასასრული მე-6 გვერდზე

ვერსიანიუსი

საქართველოს სოფლის მეურნეობით ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ფრანგული კომპანია Louis Dreyfus Group ინტერესდება

დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი კომპანიის თავმჯდომარეს მარგარიტა ლუის-დრეიფუს შეხვდა.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს Louis Dreyfus Group-ის სამუშაო ჯგუფი ეწვევა და ადგილზე გაეცნობა არსებულ მდგომარეობას.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში არსებული ბიზნესგარემო. ქართულმა მხარემ Louis Dreyfus Group-ს თანაინვესტირების ფონდის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. საუბარი ასევე შეეხო იმ ლიბერალურ პირობებს, რასაც საქართველოს მთავრობა ინვესტორებს სთავაზობს.

Louis Dreyfus Group მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში ფლობს ბიზნესს, დასაქმებული ჰყავს 22 ათასზე მეტი ადამიანი. 2014 წელს კომპანიის მოგებამ 640 მილიონი შეადგინა, კომპანიის ბიუჯეტი კი 9 მილიარდს შეადგენს.

„პირველი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის 32% ბავშვთა და მოხუცთა დაცვას მოხმარდა

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა დავით პატარაიამ და ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ, გიორგი აბაშიშვილმა, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის 2014 წლის ხარჯვითი ნაწილის ანგარიში წარადგინეს. გასულ წელს, სარეზერვო ფონდში მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა, რომლის მიზანი ფონდის ხარჯვითი ნაწილის გამჭვირვალობა იყო. წელს უპრეცედენტო შემთხვევა დაფიქსირდა, რადგან პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელებმა მედიას ის პროექტები გააცნეს, რომლებიც სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა. ანგარიშის თანახმად, ყველაზე მეტი თანხა, ანუ საერთო რაოდენობის 32%, რაც 1 071 000 ლარია, ბავშვთა და მოხუცთა დაცვის მიმართულებით დაიხარჯა, სასამართლო რეფორმის დასახმარებლად, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდში არსებული თანხის 20%, ანუ 740 000 ლარი გამოყვეს, ხოლო 18% ანუ 450 000 ლარი კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას მოხმარდა.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და 2015 წელს ისევე, როგორც 2014 წელს, 5 000 000 ლარით განისაზღვრა. „ვერსიასთან“ საუბრისას პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ, **გიორგი აბაშიშვილმა** აღნიშნა, რომ 2014 წელს, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის სტრუქტურა პირველად ჩამოყალიბდა. განისაზღვრა ფონდის პრიორიტეტებიც, რომლითაც შარშან სხვადასხვა პროექტი დაფინანსდა. საქართველოს პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, პრიორიტეტულია ის პროექტები, რომლებიც სახელმწიფოს დემოკრატიული ფასეულობებისა და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების განვითარებას უწყობს ხელს და მიმართულია სოციალური ფონის გასაუმჯობესებლად.

გიორგი აბაშიშვილმა დეტალურად ისაუბრა პრიორიტეტული პროექტების მიზნობრიობისა და მათი განხორციელების მიმდინარეობაზე. სასამართლო რეფორმის მხარდასაჭერად, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 740 000 ლარი დაიხარჯა. სასამართლო რეფორმის გაღრმავება სარეზერვო ფონდის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და ამ მიზნით, ფონდიდან გამოყოფილი თანხის ბენეფიციარები არიან სსიპ „იუსტიციის უმაღლესი სკოლა“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია და საქართველოს მოსამართლეთა ერთობა.

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობის მიზნით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 310 000 ლარი გამოიყო. უნივერსიტეტების მხარდაჭერასთან ერთად, საქართველოს პრეზიდენტის დახმარებით, ახალგაზრდა მეცნიერებისა და ხელოვანების წასახალისებლად, ზურაბ ჟვანიას სახელობის წინანდლის პრემია აღდგა. სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა მოხმარდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მხარდაჭერას, სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებას, ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდიანტებს, გრიგოლ ხანძთელის სტიპენდიანტებსა და ზურაბ ჟვანიას წინანდლის პრემიის ლაურეატებს.

კულტურული მრავალფეროვნების განვითარების მიზნით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 450 000 ლარი დაიხარჯა. 2014 წელი, პრეზიდენტის ეგიდით განხორციელებული საინტერესო წამოწყებებით იყო დატვირთული. გაიმართა ლიტერატურული ფესტივალი „ლიტტური“, ახალი მუსიკალური კონცერტი, კლასიკური მუსიკის ბათუმის ფესტივალი, ერთიანი კავკასიის ფესტივალი მარნეულში „მშვიდობის მატარებელი“.

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, აფხაზეთის ვირტუალური არქივი შეიქმნა, რისთვისაც სარეზერვო ფონდიდან 80 670 ლარი დაიხარჯა. ეს თანხა აფხაზეთის შესახებ 5 000-ზე მეტი ფოტო, აუდიო, ვიდეო, წერილობითი მასალების გაციფრულებასა და ონლაინსივრცეში განთავსებას მოხმარდა.

რაც შეეხება ბავშვთა და მოხუცთა დაცვას, ამ მიზნით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, მთლიანობაში 1 071 000 ლარი დაიხარჯა. პრეზიდენტი განსაკუთრებულ ყურადღებასა და ზრუნვას იჩენს მათ მიმართ, ვისაც ოჯახური სითბო აკლია, ჯანმრთელობის პრობლემები აქვს და დაუცველია. ბავშვთა დაცვის მიზნით, სარეზერვო ფონდიდან 924 000 ლარი გამოიყო. ფულადი დახმარება მიიღო 1 123-მა სოციალურად დაუცველმა, ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულმა, მიუსაფარმა და მძიმე ავადმყოფმა ბავშვმა. პრეზიდენტის ინიციატივით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის სასწავლო კურსები ჩამოყალიბდა და ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრი შეიქმნა.

მოხუცებულთა დაცვის მიზნით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 286 300 ლარი დაიხარჯა. გიორგი მარგველაშვილის განცხადებით: **„მოხუცებს განსაკუთრებული ყურადღება და დაფასება სჭირდებათ. ახალი წელი კარგი საბაბია, რომ სითბო და მადლიერება გამოვხატოთ მათ მიმართ“.** საახალწლოდ, საქართველოს პრეზიდენტი 400-ზე მეტ მოხუცს დაეხმარა.

შეწყალებულ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისთვის, სარეზერვო ფონდიდან 86 500 ლარი დაიხარჯა. პროექტის ფარგლებში, ააიპ „კამარა“ და ააიპ „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი“ დაფინანსდა. პროექტი ხელს უწყობს შეწყალებულებს, რათა იზრუნონ ჯანმრთელობაზე, დაძლიონ ადაპტაციის პრობლემები, გაიუმჯობესონ ურთიერთობა ოჯახსა და გარშემომყოფებთან, მოაგვარონ სამართლებრივი პრობლემები, აითვისონ უნარები, რაც მომავლის დაგეგმვაში დაეხმარება, დაძლიონ მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება.

საქართველოს პრეზიდენტის ერთ-ერთი, მთავარი პრიორიტეტი, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობაა. მისი თქმით, საქართველოს არჩევანია ნატო და ევროკავშირი. ამ მიზნით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 86 000 ლარი დაიხარჯა. შეიქმნა ვებ-პორტალი „საქართველო ევროატლანტიკურ გზაზე“.

რაც შეეხება საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების სამმხრივ სამიტს, გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა: **„ძალისხმევას არ ვიშურებთ, რათა სამმხრივი ურთიერთობა ემსახურებოდეს არა მარტო ჩვენს ქვეყნებს, არამედ მთელ რეგიონს. სამიტს საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ენერგოუსაფრთხოება, საერთაშორისო უსაფრთხოება და სატრანსპორტო საკითხები — ეს ამ სამიტის მთავარი თემებია. გარდა ამისა, ვიმსჯელებთ სამომავლო გეგმებზეც“.**

გიორგი აბაშიშვილის განცხადებით, უკვე განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით, სარეზერვო ფონდიდან საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსება 2015 წელსაც გაგრძელდება.

დარღვევები აჭარის ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებში

მე-5 გვერდიდან

სახელმწიფო აუდიტის შედეგად, ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობაზე არასათანადო კონტროლის დაწესების ფაქტები გამოვლინდა. კერძოდ, ხელშეკრულებების შესაბამისად, მიმწოდებლის ერთ-ერთი ვალდებულება სკრინინგის შედეგად აღმოჩენილი სქოლიოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარება იყო, რაც სამკურნალო ფიზკულტურისა და სამკურნალო მასაჟის 20-დღიან კურსს გულისხმობდა. სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები არასრულად, ნაწილობრივ შეასრულა.

მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის სკრინინგისა და ამბულატორიული მკურნალობის მუნიციპალური პროგრამის 2011 წლის ხარჯი — 21 100 ლარი, ხოლო 2012 წლის ხარჯი — 27 000 ლარი იყო. პროგრამა ითვალისწინებდა ბათუმში მცხოვრები, ერთ წლამდე ბავშვების სკრინინგს, მენჯ-ბარძაყის სახსრის პათოლოგიის დროულად აღმოჩენის მიზნით და საჭიროების შემთხვევაში, ბავშვების რენტგენოგრაფიას, ასევე ამბულატორიულ მკურნალობასაც. ხელშეკრულების პირობების გაუთვალისწინებლად, რენტგენოგრაფიული მომსახურების გაწევის დროს, მიმწოდებელმა კომპანიამ ქვეკონტრაქტორის მომსახურება გამოიყენა ისე, რომ ბათუმის მერიას სათანადო ნებართვა არ გაუცია.

2012 წლის 10 თვისა და 2013 წლის 2 თვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, ბათუმის მერიამ ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ხელშეკრულება გაუფორმა შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონალურ ცენტრს“. 2012 წლის 12 ნოემბერს, ამ ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომელსაც ხელი მოაწერეს ბათუმის მერიისა და შპს „სამედიცინო ცენტრ სალვეს“ წარმომადგენლებმა. ამ ცვლილების საფუძველზე, პროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელი კომპანია შეიცვალა. შინაარსით, ეს ცვლილებაახალი შესყიდვაა, რომელიც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის დარღვევით განხორციელდა.

ამ ცვლილების საფუძველზე, 2012 წლის 31 დეკემბრამდე, 6 500 ლარის ღირებულების სამედიცინო მომსახურება შპს „სამედიცინო ცენტრმა სალვემ“ შეასრულა. სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრის“ მიერ, 2012 წლის ოქტომბერში გაწეული მომსახურების ღირებულება — 2 226 და 2012 წლის 12 ნოემბრამდე გაწეული მომსახურების ღირებულება — 2 196 ანუ ჯამში 4 422 ლარი, ბათუმის მერიამ შპს „სამედიცინო ცენტრ სალვეს“ გადაურიცხა, რის გამოც, მიუღებელი დივიდენდის სახით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს ზიანი მიადგა. ბიუჯეტი იმიტომ დაზარალდა, რომ შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრის“ 100%-იანი წილის მფლობელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაა, ხოლო შპს „სამედიცინო ცენტრი სალვე“, მთლიანად ფიზიკური პირების საკუთრებაშია.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შეუსრულებლობის შედეგად, სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი, უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, რომლის ხარჯიც 2011-2012 წლებში 1 797 100 ლარი იყო, არაკანონიერად გაიხარჯა 9 900 ლარი. გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტებმა ბენეფიციართა აღრიცხვისა და მიღება-ჩაბარების აქტებს შორის შეუსაბამობაც გამოავლინეს. ამ პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტებმა დაასკვნეს, რომ ამ ტიპის შეუსაბამობებით, საბიუჯეტო სახსრები არამიზნობრივად გამოიყენეს, რაც სერიოზული რისკფაქტორია. კერძოდ, სახელმწიფო აუდიტებმა პროგრამით მოსარგებლე პირთა ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალის მონაცემები შეისწავლეს და დაადგინეს, რომ უფასო კვებით იმაზე ნაკლებმა ბენეფიციარმა ისარგებლა, ვიდრე ჟურნალში იყო დაფიქსირებული.

ბათუმის მერიის ერთ-ერთი პროგრამა სოციალური სახლის მშენებლობას ითვალისწინებდა. სახელმწიფო აუდიტებმა დაასკვნეს, რომ სოციალური სახლის მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე, მერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად, სახელმწიფო ინტერესებს ზიანი მიადგა, რადგან 7 650 000 ლარი ბიუჯეტში არ ჩაურიცხავთ. ბათუმის მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის დადგენილებით, საცხოვრებელ კომპლექს „ბათუმის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 15 000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განკარგვაზე გამოცხადებულ კონკურსში, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ გაიმარჯვა. კონკურსის შემაჯამებელი ოქმის მიხედვით, „ცენტრ პოინტი ჯგუფს“ ბათუმის მერიისთვის, მის მიერ შესყიდული მიწის ნაკვეთზე აშენებული შენობა-ნაგებობების საერთო ფართის 20% უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით უნდა გადაეცა. გარდა ამისა, კომპანიას მშენებლობა კონკურსის ჩატარებიდან და გამარჯვებულის გამოვლენიდან 36 თვეში უნდა დაესრულებინა. რაც მთავარია, ბათუმის მერიისთვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემული ბინები ე.წ. გასაღების ქვეშ უნდა ყოფილიყო.

იმის გამო, რომ შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ აღნიშნული ვალდებულებები არ შეასრულა, ბათუმის მერიამ საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა და კომპანიისგან ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. საქმის სასამართლოში განხილვამდე, 2012 წლის 19 მარტს, მხარეები შეთანხმდნენ და 2012 წლის 25 ივნისს, მორიგების აქტიც გააფორმეს. ამის მიუხედავად, „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებებიც არ შეასრულა და 2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, კომპანიას მორიგების აქტით განსაზღვრული, 7 650 000 ლარიც კი არ ჰქონდა გადახდილი.

სოციალური სახლის მშენებლობის დასასრულებლად, ბათუმის მერიასა და შპს „ანაგს“ შორის ხელშეკრულება გაფორმდა. „ანაგის“ საშუალებით. ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ შეადგინა, რომელიც სსიპ „სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნის საფუძველზე დამტკიცდა. მშენებარე სახლის დასასრულებლად, ბათუმის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 6 346 000 ლარიდან, 2012 წელს 4 143 200, ხოლო 2013 წელს 1 126 500 ლარი გაიხარჯა. გახარჯული თანხიდან, 5 114 300 ლარი შპს „ანაგს“ გადაურიცხეს, რომელმაც სოციალური სახლის მშენებლობა დაასრულა, 105 400 ლარი — ელექტროენერგიისა და წყლის ქსელში ჩართვას მოხმარდა, ხოლო 50 000 ლარი — შპს „დექსუს ქოსთრაქშენ მენეჯმენტს“ ჩაურიცხეს, რომელმაც სოციალური სახლის სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა განახორციელა.

შპს „დექსუს ქოსთრაქშენ მენეჯმენტი“ ეკუთვნის შპს „დექსუსის“ დამფუძნებლებს. 2010 წლის 7 სექტემბერს გაფორმებული გენერალური მინდობილობის შესაბამისად, „დექსუსს“ მართვისა და განკარგვის უფლებით გადაეცა შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის 100%-იანი წილი. ამ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტებმა დაასკვნეს, რომ ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის შედგენისას, შპს „ანაგის“ მონაწილეობა და შპს „დექსუს ქოსთრაქშენ მენეჯმენტის“ მიერ, საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ინტერესთა კონფლიქტია, რამაც დამატებითი რისკფაქტორი შექმნა.

მეორე ეროვნული კონფერენცია საკონსტიტუციო სამართალში!

აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტისა და დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის ორგანიზებით, 29 დეკემბერს, უნივერსიტეტში გაიმართა მეორე ეროვნული კონფერენცია საკონსტიტუციო სამართალში, თემაზე: „სახელმწიფო მმართველობის ფორმა: „საქართველოს საკონსტიტუციო სინამდვილე და პერსპექტივა“. კონფერენცია საზეიმოდ გახსნეს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძემ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, პროფესორმა ზურაბ ძლიერიშვილმა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორმა დავით ჩერქეზიშვილმა.
კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ათმა გამომსვლელმა. მათ შორის: ვასილ გონაშვილმა, დიმიტრი გეგენავამ, თენგიზ თევზაძემ, თამარ პაპაშვილმა, პაატა ჯავახიშვილმა, ზურაბ ჯიბღაშვილმა, ლანა ცანავამ, ეკა კაველიძემ, ზურაბ მაჭარაძემ და სალომე წურწუმიამ.
კონფერენციისა და აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ, „ვერსია“ უნივერსიტეტის პრორექტორს, თეა იმედაძეს ესაუბრა:

— ქალბატონო თეა, როგორ შეაფასებთ კონფერენციას?

— უპირველეს ყოვლისა, მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და საზოგადოებას მივულოცო შობა-ახალი წელი. ეს წელი ბედნიერებისა და წარმატებისმომტანი ყოფილიყოს თითოეული თქვენგანისთვის.

აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტი გახლავთ კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება. დაარსების დღიდან უნივერსიტეტი აქტიურად მოღვაწეობს ამ კუთხით, გამოიცა სახელმძღვანელოები, საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“, ჩატარდა რამდენიმე საერთაშორისო და ეროვნული კონფერენცია. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სამეცნიერო ჟურნალზე ბიზნესის მიმართულებით.

წელს უკვე მეორედ გაიმართა ეროვნული კონფერენცია საკონსტიტუციო სამართალში, რომლის ფარგლებშიც განვიხილეთ საკონსტიტუციო სამართლის აქტუალური და პრობლემატური საკითხები. გაიმართა საინტერესო დისკუსიები მომხსენებლებსა და დამსწრე საზოგადოებას შორის. კონფერენციაში გამოცდილ მეცნიერებთან ერთად, მონაწილეობდნენ ასევე ახალგაზრდა მეცნიერები.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების კრებულის სახით გამოცემას და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლება მისი გაცნობა.

— გაგვიმხილეთ, რა სიახლეებია აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში?

— აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი დაარსების დღიდან ორიენტირებულია მუდმივ პროგრესსა და განვითარებაზე. გაწევრიანდა შავი ზღვის აუზის ქვეყნების უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის ქსელში (UNIVERSEA.NET), რომლის ფარგლებშიც მრავალი საინტერესო სტუდენტური თუ სამეცნიერო ღონისძიება განხორციელდება თურქეთის, რუმინეთის, ბულგრეთისა და მოლდოვის ქვეყნების უნივერსიტეტებთან.

უნივერსიტეტის პარტნიორთა სია ყოველდღიურად ფართოვდება და ამჟამად, ფორმდება ურთიერთთანამშორმლობის მემორანდუმები ჩეხეთის, ლატვიის, გერმანიისა და პოლონეთის უნივერსიტეტებთან. ბრიტანეთისა და ავსტრიის უნივერსიტეტებთან უკვე დიდი ხანია ვთანამშრომლობთ.

ყოველ სემესტრში სალექციო კურსს წარმართავენ უცხოელი სპეციალისტები. ახლახან, უნივერსიტეტს სტუმრობდა ამერიკის კენტუკის უნვერსიტეტის პროფესორი ტაირონ ბიონესი, რომელმაც განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში წაიკითხა ლექციების კურსი თემაზე: „კვლევის მეთოდები განათლებაში“.

აღსანიშნავია 2014 წლის ბოლოს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის კიდევ ერთი აღიარება. 24 დეკემბერს სასტუმრო „რედისონში“ გამართულ „ქართული ბრენდის დღეზე“ უნივერსიტეტი დაჯილდოვდა ახალი ქართული ბრენდის ნომინაციაში და გადაეცა საგანმანათლებლო სივრცეში „წარმატებული ახალი სახელის“ ტიტული.

რასაკვირველია, აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი მომავალშიც აქტიურად განაგრძობს სამეცნიერო კუთხით საქმიანობას, 2015 წელს გველის არაერთი საინტერესო ღონისძიება და სიახლე როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური საზოგადოებისთვის.

ვერსიანიუსი

გაერო-ს უშიშროების საბჭოს 28-ე სხდომაზე საქართველოს მხარდამჭერი განცხადებები გაკეთდა

სხდომაზე, რომელიც უკრაინაში არსებულ კრიზისს დაეთმო, საქართველოს მხარდამჭერი განცხადებები ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოსა და ლიტვის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა გააკეთეს.

„სახიფათოა, რუსეთის ქმედებები „ახალ ნორმად“ იქცეს. ჩვენ ეს სტრატეგია მანამდე ვნახეთ ყირიმში, ხოლო უფრო ადრე — საქართველოს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ რეგიონებში და დნეპრისპირეთში. მოსკოვის მიერ ინსპირირებული ყველა კრიზისი ერთმანეთის მსგავსია — ჩამოაჭრა მეზობელ ქვეყანას ტერიტორია და აქციო ის გაყინულ კონფლიქტად“, — განაცხადა გაერო-ში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა სამანტა პაუერმა.

მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ე.წ. ხელშეკრულებაზე გაამახვილა ყურადღება გაერო-ში გაერთიანებული სამეფოს ელჩმა მარკ გრანტმა. როგორც მან აღნიშნა, ე.წ. ხელშეკრულება, რომელსაც რუსეთსა და აფხაზეთს შორის უკვე მოეწერა ხელი, ხოლო „სამხრეთ ოსეთთან“ ხელმოსაწერად მზადდება, „მეზობელი ქვეყნის შიდა საქმეებში რუსეთის ჩარევის მოდელს და სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უხეშ ხელყოფას წარმოადგენს“.

საქართველოს საკითხი წინ წამოსწია ასევე გაერო-ში ლიტვის მუდმივმა წარმომადგენელმა და აღნიშნა, რომ 2008 წლის აგვისტოსა და სექტემბრის შეთანხმებების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მაგივრად, რუსეთი კვლავ განაგრძობს საქართველოს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ რეგიონების ანექსიას და აღნიშნულის შენიღბვას მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ე.წ. ხელშეკრულებების გაფორმებით ცდილობს.

„მოვუწოდებთ რუსეთს, დაიცვას გაერო-ს ქარტიით განსაზღვრული ფუნდამენტური პრინციპები და შეწყვიტოს ექსპანსიონისტური და რევანშისტული პოლიტიკა, რომელიც სიტუაციის დესტაბილიზაციისკენაა მიმართული“, — განაცხადა რაიმონდა მურმოკაიტემ.

„ინტერპრესნიუსი“

პატიმარი №0578

რამდენიმე დღის წინ კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში მომხდარმა შემთხვევამ სრულიად საქართველო შოკში ჩააგო. 2006 წელს კორტებთან ჩაცხრილული ზურაბ ვაზაგაშვილის მამა იური ვაზაგაშვილი შვილის საფლავზე მაშინ ააფეთქეს, როცა ყვავილები მიიტანა. ასე თამამად იმიტომ ვამბობთ, რომ ეს იყო წინასწარ დაგეგმილი აფეთქება და საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. ასეც რომ არ იყოს, ცოტას თუ ეპარება ეჭვი, ყველაფერი რომ შემთხვევით მოხდა. ამ საქმის გამოძიება ძალოვანთა მუნდირის ღირსების საქმეა. აკი, ამბობენ კიდეც ხელისუფლების უმაღლესი პირები, სახელმწიფოს და ჩვენი პრესტიჟი ამ საქმის გამოძიებაზეა დამოკიდებულიო. ჯერჯერობით, მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობა პროფესიონალის დამონტაჟებული იყო, რადგან გაირკვა, აფეთქების შემდეგ იქ მყოფ ადამიანს გადარჩენის შანსი, პრაქტიკულად, არ ჰქონდა.

კრიმინალურ სამყაროში ამფეთქებლებს დიდ პატივს არ სცემენ, მაგრამ სჭირდებათ. ხან შესაშინებლად, რომელიმე ბიზნესმენის მანქანაა დასანაღმი, ხან ტყუილი ნაღმია დასადები ვინმესთვის, არცთუ იშვიათად კი კრიმინალურ ავტორიტეტებსა და „კანონიერ ქურდებს“ სწორედ ასე იშორებენ კონკურენტები...

რუსთავის №17 დაწესებულებაში ერთი ჩვეულებრივი დღე იდგა, როცა №0578-ის საკანში სხვა პატიმარი შევიდა და ორადორი სიტყვა თქვა: „მაყურებლები გიბარებენ“.

პატიმარი №0578 წამოდგა, კითხვით სავსე თვალები მიაპყრო შემოსულს, მაგრამ მან, საპასუხოდ, მხოლოდ მხრები აიჩეჩა და ესეც მორჩილად გაჰყვა.

მაყურებლების კამერაში უცხო მხოლოდ ერთი მსჯავრდებული, მეტსახელად აქვსენტა იჯდა. საუბარი სწორედ მან დაიწყო: „აი, ეს არის, რა, მომაცილეთ, აღარ შემიძლია, შემჭამა“...

№0578-ს აქვსენტასთვის ყურადღება არ მიუქცევია, მაყურებლებს მიესალმა და ნარზე ჩამოჯდა.

„ეს კაცი დილიდან აქ ზის, შენზე ამბობს, მომაცილეთ, მოსვენებას არ მაძლევსო და რა ხდება?! ფული ამას არ აქვს, ტვინი და რაზე აწუხებ?!“ — ჰკითხა მაყურებელმა.

„იმაზე, რაზედაც ყველას. ფულის არ ვიცი, აი, ტვინი კიდევ... ამას აქვსენტა რატომ ჰქვია, იცით? „ხარება და გოგია“ ხომ გაქვთ ნანახი?! იქ არის აქვსენტა სიდამონიძე, ტერორისტი და მაგიტომ შეარქვეს ამასაც. ტერორისტია, რა“, — გაეღიმა №0578-ს.

„ვინ არის?! რა ტერორისტი, გაგიჟდი შენ?!“ — გაიოცა მაყურებელმა.

„არა, იმ დონის ვერ არის, ალ ქაიდა და ეტა დააინტერესოს, მაგრამ საქართველოს დონეზე არა უშავს. ამფეთქებელია, ამფეთქებელი. ჰოდა, ის მაინტერესებს, სად რა აუფეთქებია, აქ საიდან მოხვდა, საერთოდ, რა უნდა ცხოვრებაში და ვინ ააფეთქა ასეთი, 18 წელი რომ მისცეს. თქვენც ისტორიების გამო გაწუხებთ ხოლმე, მაგრამ ეს ვერ გავტეხე და გუშინ დავემუქრე, მაყურებლების ძალით მოგაყოლებ-თქო. როგორც ჩანს, შეეშინდა და ამიტომ მოვიდა თქვენთან“, —გაეღიმა №0578-ს, მაგრამ მაყურებელი უკვე აღარ უსმენდა, აქვსენტას თვალებით ბურღავდა და ისიც ხაფანგში გამომწყვდეული თაგვივით აცეცებდა თვალებს.

ტერორისტები ციხეში

როგორ გამოიყენეს ნაციონალებმა ჭიათურელი „ამფეთქებელი“ აგვისტოს ომის დროს და რისთვის მიუსაჯეს მას 18 წელი

„დაიწყებ ახლა თუ დაგაწყებინო?! როცა ზონაზე მოგიყვანეს, მაშინ თქვი, ლიმონკა ამიფეთქდა და ორი კაცი მოკვდა, იმიტომ მომცეს ამხელა სროკიო და თურმე... გისმენ“, — მკაცრად უთხრა მაყურებელმა.

„ერთ შესწორებას შევიტან. აუხსნას ვინმემ ამას, რომ მაგის ისტორია თითქმის ზეპირად ვიცი, დეტალები მაქვს დასაზუსტებელი და ტყუილს თუ იტყვის, გაილახება“, — ჩაურთო №0578-მა.

„გაიგე?! ტყუილი და დალეწვა ზედა გაქვს. დაიწყე ახლა და ისე მოყევი, ვითომ ფილმს ვუყურებთ, მაინც არაფერი ხდება ამ ზონაზე და ასე მაინც გავერთოთ“, — თქვა მაყურებელმა, ნარზე მიწვა და მოსასმენად მოემზადა.

„ჭიათურიდან ვარ. იქ კიდევ მაღაროში სულ აფეთქება მიდიოდა და ამიტომ დავინტერესდი ამით. თან აფეთქების ხმაზე არანაირი შიში არ მქონდა. მთელი ჭიათურა ასეა. ყურთან რომ აუფეთქო დინამიტის კაფსულა, რეაქცია არავის ექნება. მამაჩემს მოჰქონდა სახლში კაფსულები და მეც ვპარავდი. ხან წყალში ვაფეთქებდი, ხან ხმელეთზე. მერე, ფილმების ყურების დროს აღმოვაჩინე, რომ აფეთქების დაგეგმვა შეიძლება. როცა ქვეყანა აირია, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებიც ვიშოვე და ქვეითი ჯარისკაცების ასაფეთქებელიც. ტყეში წავიღე. ისეთ ადგილებზე დავდე, ნადირის ბილიკს რომ ეძახიან და ვიფიქრე, რამეს მოვინადირებ მეთქი. ტანკსაწინააღმდეგოზე არაფერი აფეთქდა, ქვეითზე კი ღორი, მაგრამ გარეული იყო თუ ვინმესი, ვერ გეტყვით, ისე იყო აზელილი ერთმანეთში ყველაფერი. მივხვდი, ნაღმებით ნადირობა არ გამოვიდოდა და შევეშვი...

ერთ დღეს მამა მეზობელთან გავიდა, პურის ფული არ გვქონდა და უნდოდა ესესხა, მაგრამ იმან უარი უთხრა, არ მაქვსო. მაშინ ფირმა მანქანა იშვიათობა იყო და ამ მეზობელს ჰყავდა, ფულიც ჰქონდა, თუმცა ირგვლივ ყველა ეკიდა, ქურდებთან წილი მიჰქონდა და თითს არავინ ადებდა. ამიტომ, „გარაჟთან“ დავუმონტაჟე ნაღმი და როცა მანქანა გამოჰყავდა, ჰაერში ავწიე. ძლივს გადარჩა, მაგრამ ამის მერე დაიწყო, რაც დაიწყო. ქურდები შოკში ჩავარდნენ, ჩვენს გარეშე ვინ გაბედაო და მთელი ჭიათურა ფეხზე დააყენეს. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ მე პურის ფულის გამო დავსაჯე ის უბედური და ჩემთან არავინ მოსულა. მერე იყო, ქურდებმა ორ თვეში რომ გააბაზრეს, ის ამფეთქებელი ადგილობრივი რომ იყოს, საქმეს გავუჩენდით და ფულსაც მივცემდითო. ჩემი ფეხით მივედი. თავიდან არ დამიჯერეს, მაგრამ როცა რამდენიმე ნაღმი გამოვუჩინე და ისიც ვუთხარი, როგორ ვაკეთებდი ამ ყველაფერს, გაოცდნენ, თითისტოლა ბავშვმა ეს როგორ გაბედეო.

ეს იყო და მაგათ გარეშე ნაბიჯს არ ვდგამდი. რა ჭიათურა და ზესტაფონი, თბილისში ჩამოვდიოდით და აქ ვმუშაობდით. სამი ნაღმის დადება დამჭირდა სულ და მართლა არ ვიცი, ვინმე აფეთქდა თუ დაიღუპა. ეს ჩემი საქმე არ იყო. ქურდები ფულს მაძლევდნენ. თანაც, მაძლევდნენ იმაზე მეტს, ვიდრე მჭირდებოდა. იმდენი დავაგროვე, მივხვდი, აქ აღარაფერი მესაქმებოდა და რუსეთში წავედი. ქურდების სახელით ახლა იქაურ კრიმინალებს მივადექი და იმათთან დავიწყე მუშაობა. აქ თუ თვეში ერთხელ მიწევდა ნაღმის დადება, იქ თითქმის ყოველდღე ვაკეთებდი. ნელ-ნელა საქმე დავხვეწე, ვიღას სჭირდებოდა ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, ჩვეულებრივ, დისტანციური მართვის ნაღმებს ვაკეთებდი და რაც მთავარია, ამ მხრივ კურსები საკუთარი ფულით გავიარე ისრაელში. და ის საბედისწერო 2008 წელიც დადგა...

ომი სანამ დაიწყებოდა, ქურდებმა მითხრეს, თბილისში უნდა წახვიდე, შენთან მთავრობას აქვს საქმეო. მანამ მე არაფერი მეტკინოს, ჩემი ფეხით აქ არ ჩამოვიდოდი, მაგრამ ქურდების სიტყვას ვერ გადავედი. ჩამოვედი საქართველოში, აეროპორტშივე დამხვდნენ და მოდულის შენობაში წამიყვანეს. ნაციონალური მოძრაობის ელიტის ორი წარმომადგენელი დამხვდა იქ და ნაღმებზე დამიწყეს საუბარი. კატეგორიულად ვიუარე, რა ნაღმი, მოსკოვში მეტროპოლიტენში ვმუშაობ- მეთქი. ისევ ქურდებს დაურეკეს და მათაც მითხრეს, ებაზრე, არ არის პრობლემაო. ჰოდა, ამ საუბრიდან გაირკვა, რომ „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე რამდენიმე ადგილი უნდა დამენაღმა და რაც მთავარია, უახლესი აპარატურა ჰქონდათ, რომლის სპეციალისტი საქართველოში არ იყო. მე კი ამ „უახლესი აპარატურით“ რამდენიმე ბიზნესმენი რუსეთში დაშინებული მყავდა. რა უნდა მექნა და მეთქვა? — დავთანხმდი და დავნაღმე ის ადგილები, რომლებიც მიმითითეს. მადლობა გადამიხადეს და რუსეთში გამომაცილეს.

ომი როგორც მორჩა, კი იცით თქვენ და რაში გამოიყენეს ჩემი ნაღმები, არ ვიცი, თუმცა იმავე 2008 წლის ზამთარში დამირეკეს და მითხრეს, ჩამოდი, საქმე გვაქვსო. კინაღამ გადავირიე. ახალ ომს იწყებენ-მეთქი და ქურდებისთვის რომ არ მიკითხავს, ისე წავედი. შეცდომა დავუშვი, რადგან ასეთი რამ გავაკეთე მათთვის, არ მიფიქრია, რომ გამწირავდნენ. ჩამოვედი თბილისში, ვიღაცის ბინაში მიმიყვანეს საბურთალოზე და მითხრეს, აქ უნდა დარჩე და გარდა იმისა, რომ რამდენიმე კაცი უნდა გაწვრთნა, ნაღმები ჩვენი მითითებისამებრ უნდა დააყენოო. მერე გავიგე, რომ საუბარი რიგით მოქალაქეებზე იყო, თითქოს ტერორისტული აქტები უნდა მომხდარიყო. გავგიჟდი კინაღამ, ტვინი არ გაქვთ-მეთქი, ბოლო ხმაზე ვყვიროდი. თურმე მე არ მაქვს ტვინი, მე...

მოსაფიქრებლად ორი დღე მომცეს, იმ ბინაში დამტოვეს, კარი გარედან გადაკეტეს და წავიდნენ. ორი დღის შემდეგ დამადგნენ და პასუხად ისევ უარი რომ ვუთხარი, დამემუქრნენ, ცხოვრებას გაგიმწარებთო. დარეკვა ვთხოვე, ქურდებს დაველაპარაკები-მეთქი და დამარეკინეს. იქიდან ქურდებმა მითხრეს, მაგათი ბოზი დედაც, არაფერში ენდო მაგ ბოზებს, ყველა ჩვენიანი გაწირესო და მივხვდი, ბოლომდე გავები. რა უნდა მექნა, თბილისში ხალხის აფეთქებას ხომ არ დავიწყებდი და მორიგი უარის შემდეგ სასამართლოში გამაქანეს, ჯერ ორთვიანი მომისაჯეს, მერე კი გლდანის ციხეში ამიხსნეს, რისთვის დამაკავეს. თურმე, აგვისტოს ომის დროს ჩემს მიერ დაყენებულ ნაღმზე ორი ქართველი ჯარისკაცი აფეთქდა და ეს ჩემი ბრალი იყო. სიცილი დავიწყე, აბსურდული ბრალდებაა-მეთქი. რატომო, რომ მკითხეს, მაგას სასამართლოზე აგიხსნით-თქო. ადვოკატზეც კი უარი ვთქვი და როცა სასამართლო გაიმართა, მოსამართლეს მშვიდად ვუთხარი: ნაღმი მე დავამონტაჟე, ჩემი ჩადებული იყო, მაგრამ მას შემდეგ რუსეთში წავედი და ამის დამადასტურებელი მასალა საზღვარზე არის. ის ნაღმი დისტანციურად იმართებოდა და პასუხი იმან უნდა აგოს, ვინც მაშინ აამოქმედა, როცა ქართველი ჯარისკაცები გადაადგილდებოდნენ-მეთქი. მოსამართლემ პროკურორს გახედა, იმან თვალით რაღაც ანიშნა და სხდომა გადაიდო. მეორე სხდომაზე მოსამართლემ გამომიცხადა, რომ აფეთქება თურმე არასწორად დამონტაჟებულმა ნაღმმა გამოიწვია და დისტანციურად არ აუფეთქებიათ. ასე მომისაჯეს 18 წელი და ამის შემდეგ ეს კაცი აღარ მოვიდეს, მომიყევიო რამე, თორემ ავაფეთქებ აქაურობას“, — დაასრულა მონოლოგი აქვსენტამ.

„ის დაგავიწყდა, აღიარებას რომ გთხოვდნენ და ისე რომ გცემეს, სათესლე ჯირკვლის მოჭრა დაგჭირდა?“, — შეახსენა №0578-მა.

„ეგ უკვე პირადია და თუ ვინმეს ჰგონია, აფეთქება 18 წლის მერე დამავიწყდება, ძალიან ცდება“, — თქვა აქვსენტამ და კამერიდან გავიდა.

ვერსიანიუსი

შსს-მ 50 აბი მეტადონი ამოიღო



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს მესამე სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1990 წელს დაბადებული თამარ გ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში, ორთაჭალის ავტოსადგურში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 2 გრ მეტადონის შემცველი 50 აბი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

საგამოძიებო სამსახურმა დანაშაულებრივი ჯგუფის ოთხი წევრი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა

ბრალდებულები სისხლის სამართლის პასუხისგებაში გადასახადისაგან თავის არიდების მიზნით, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება გამოყენების და ცრუ მეწარმეობის ფაქტზე მიეცნენ.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულები უზრუნველყოფდნენ საქართველოს მასშტაბით ფიზიკური პირებისგან ჯართის მიღებას და რეალიზაციას, რა დროსაც გადახდისუუნარო, არარეზიდენტ პირებზე არეგისტრირებდნენ შპს-ებს, შემდეგ კი არ იხდიდნენ ფიქტიურ საწარმოებზე დაგროვილი დამატებითი ღირებულების გადასახადის დავალიანებებს.

გამოძიების ამ ეტაპზე გამოკვეთილია 1 122 770 ლარის ოდენობის დღგ-ს უკანონო ჩათვლა ყალბი საგადასახადო ანგარიშფაქტურების გამოყენებით, რითაც სახელმწუფო ბიუჯეტს განსაკუთრებით მნიშვენლოვანი ზიანი მიადგა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 193-ე მუხლით გრძელდება, რაც თავისუფლების 4-დან 7 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ უკანონო იარაღი ამოიღო

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მეცხრე განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გიორგი ბ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას „კა 6-92“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და „მაგნუმის“ მოდელის პისტოლეტი ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

თამარ ლომსაძე
599-209401

ძილის ეპიდემია — რადიაცია, ქიმიური იარაღი თუ მწერის ნაკბენი

რატომ ვერ დაადგინეს მეცნიერებმა ახალი დაავადების გამომწვევი მიზები და ემუქრება თუ არა საქართველოს საფრთხე

ყაზახეთის ერთ-ერთი პატარა სოფელი კალაჩი ძილის მასობრივმა ეპიდემიამ მოიცვა — ბავშვებსაც და ასაკოვან ხალხსაც მოულოდნელად ძილი იპყრობს — ზოგს რამდენიმე საათით, ზოგს კი რამდენიმე დღით. მეცნიერები თავს იმტვრევენ, დაავადებულებსაც არაერთი გამოკვლევა ჩაუტარეს, თუმცა ამ უცნაურ მოვლენას ახსნა ვერაფრით მოუძებნეს. ექიმები აცხადებენ, რომ

„კლინიკა ყველა შემთხვევას თითქმის ერთნაირი აქვს — მოთენთილობა, ძილიანობა, გაორება და მოძრაობის დარღვევა“.

... მაგრამ, რაც ადგილობრივი ექიმებისთვის „ტიპიურია“, მეცნიერებისთვის ამოუხსნელი ანომალია გახლავთ — ორი წელია ხალხი მასობრივად იძინებს რამდენიმე დღით და ვერავინ იგებს — რატომ!

„მძინარე სოფლის“ საიდუმლოს ამოხსნას უცხოელებიც ცდილობენ, ამ დაავადებას ნარკოლეპსია ეწოდება — რომელიც იშვიათია და, შესაბამისად, შეუსწავლელიც, თუმცა მსგავსი შემთხვევები ჩელიაბინსკშიც დაფიქსირდა. „ისინი იძინებენ ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ მდგომარეობაში და ეს შეიძლება გაგრძელდეს წუთი, ნახევარი საათი ან რამდენიმე დღე...“, — აღნიშნავს სამედიცინო ცენტრის მთავარი ექიმი ნატალია ბელინსკაია და დასძენს, რომ ჩელიაბინსკში მხოლოდ ერთეული შემთხვევები გამოვლინდა, ყაზახეთისგან განსხვავებით.

ქრონიკული ძილის შემდეგ დაავადებულებს არაფერი აწუხებთ და ამიტომ მოგვიანებით, მეცნიერები განსხვავებული ვერსიისკენ გადაიხარნენ — ეს ხომ არ არის მასობრივი ტრანსის გარკვეული ფორმა?

ფსიქოლოგიური დარღვევის მიზეზი შეიძლება იყოს დეპრესია, რასაც სოფელში არსებული სოციალური ფონი უდავოდ ამძაფრებს; გარდა ამისა, ადრე კალაჩიში მოიპოვებდნენ ურანს, დღეს ყველა მაღარო დალუქულია, არ არის სამუშაო ადგილები, ხალხი კი მასობრივად გაედინება სოფლიდან...

დეპრესია დეპრესიად, თუმცა ზოგი მეცნიერი არ გამორიცხავს, რომ დაავადების მიზეზი სწორედ დალუქულ ადგილებში უნდა ვეძებოთ, რადგან არაა გამორიცხული, ურანის დაშლის შედეგად წარმოქმნილიყო რადონის აირი, რომელსაც „ტოქსიკური ეფექტი აქვს და ადამიანს ძილს გვრის ისევე, როგორც ქსენონი და კრიპტონი“.

გამორიცხული არაფერია, მით უმეტეს, რომ ჰაერში რადონის შემცველობის გარკვევა ადვილი არ არის და სანამ მეცნიერები ამ საიდუმლოს ამოხსნიან, ყაზახეთის ხელისუფლება აპირებს, გახიზნოს მოსახლეობა.

რა არის ეს — ურანის კვალი თუ უცხოპლანეტელთა ბოროტი ხუმრობა? საინტერესო ისაა, რომ თავად მეშახტეები, რომლებიც თავის დროზე ურანს მოიპოვებდნენ, არასოდეს შეუწუხებია მსგავს სიმპტომებს. მეცნიერთა ჯგუფი არც ნახშირბადის აირის მავნე გავლენას გამორიცხავს, სამაგიეროდ, კატეგორიულად უარყოფენ ეპიდემიის არსებობას... ასე რომ, პროგნოზებიც არაერთგვაროვანია და შეფასებებიც.

ყაზახეთის ჯანდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ ყველა დაავადებულს ტოქსიკური ენცეფალოპათია — ტვინის ფუნქციის მოშლა აღენიშნებოდა.

ახლახან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც რადიაციული მედიცინის წარმომადგენლებით, ეკოლოგებით, გეოლოგებით დაკომპლექტდა და ძილის ეპიდემიას შემდეგი ახსნა მოუძებნეს — მასობრივმა დათბობამ, რასაც შედეგად მოყვა ატმოსფეროს ცვლილება, გაზარდა ინერტული აირების წილი და ამან უარყოფითად იმოქმედა ტვინის აქტივობაზე (?).

„ყაზახეში პანიკაა! ადამიანები იძინებენ ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ მდგომარეობაში. სიმპტომები ასეთია: მოთენთილობა, მხედველობის გაორება, ჰალუცინაციები, კრუნხვა, ენცეფალოპათია...“

ტომსკის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის გეოეკოლოგიისა და გეოქიმიის კათედრის პროფესორმა, ლეონიდ რიხვანოვმა კი განაცხადა, რომ დაავადების მიზეზი ქიმიური სასუქებია — განსაკუთრებით დუსტი, რომელიც სოფლის მეურნეობაში აქტიურად გამოიყენება. პროფესორი არ იზიარებს ურანის ფაქტორს და არგუმენტად იმას ასახელებს, რომ ასეთ შემთხვევაში ხალხი „შერჩევით“ კი არა, მასობრივად დაავადდებოდა.

ახლა ისაა გასარკვევი, რამდენად ინტენსიურად იყენებდნენ ქიმიურ სასუქებს სოფლის მკვიდრნი, რომლებიც მეცნიერთა უსუსურობის შემხედვარე, ყველაზე ფანტასტიკური ვერსიების გახმაურებასაც არ ერიდებიან; პარალელურად კი

ვირუსოლოგები, ტოქსიკოლოგები გამუდმებით იღებენ სინჯს ნიადაგიდან, ჰაერიდან, წყლიდან და გაოცებას ვერ ფარავენ — ყველა მაჩვენებელი ნორმაშია! დავადებულებს ყველა სიმპტომი იდენქტური აქვთ — სისუსტე, თავბრუსხვევა... ყოველი ახალი შემთხვევისას, მოსახლეობას სულ უფრო იპყრობს პანიკა; ვერ გაურკვევიათ, მთვარეულები არიან თუ ზომბები და შიშით ელიან გაზაფხულს, რადგან, როგორც კი ჰაერში ტემპერატურა იმატებს, დაავადებულთა რაოდენობაც კრიტიკულ ზღვარს აღწევს, ზამთარში კი მხოლოდ ერთეული შემთხვევები ფიქსირდება: ზოგს უბრალოდ სძინავს და არ დგება ლოგინიდან, ზოგი კი საუბრობს, დადის, მაგრამ ტვინი გათიშულია და არაფერი ახსოვს. ყველაზე მძიმედ დაავადება მოზარდებში მიმდინარეობს — მათ ჰალუცინაციები ეწყებათ, ვარდებიან კრუნჩხვაში და საშინელი არსებები ელანდებათ. ექიმები ირწმუნებიან, რომ დაავადება კვალს არ ტოვებს, თუმცა ეს მოსახლეობისთვის სიმშვიდის საფუძველი ნამდვილად არ არის, რადგან, როგორც ამბობენ, დაავადების პირველი შემთხვევები ჯერ კიდევ 2010 წელს დაფიქსირდა, მაგრამ მაშინ არავინ დაუჯერა — გვირჩევდნენ, შეტევა ვიდეოფირზე დაგვეფიქსირებინაო.

მხოლოდ 2013 წელს შეფუცხუნდა ადგილობრივი ხელისუფლება, როცა საავადმყოფოში ერთდროულად ხუთი „მთვარეული“ მიიყვანეს. მართალია, მაშინ ამის გამართლებას ალკოლოზიმით ცდილობდნენ, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს ადამიანები სპირტიან სასმელს არც მიკარებიან.

ასეა თუ ისე, ფაქტია, საბჭოთა კავშირის დაშლის შედმეგ ურანის საბადოები ადგილობრივი მოსახლეობისთვის მძიმე ტვირთად იქცა და იქაური პეიზაჟები ჩერნობილისას არაფრით ჩამოუვარდება, მით უმეტეს, რომ ადგილობრივები კიდევ ერთ საგანგაშო ინფორმაციას ავრცელებენ და აღნიშნავენ, რომ იქ არსებობდა საიდუმლო ლაბორატორია, სადაც წესით, მოპოვებული ნედლეულის ხარისხი უნდა შეემოწმებინათ, მაგრამ რამდენიმე ადამიანს, რომელმაც ამ ლაბორატორიის დაზვერვა გადაწყვიტა, იქ ქიმიკატებით გაძეძგილი ტომრები დახვდა და როგორც მოგვიანებით აღნიშნეს, მას შემდეგ დიდხანს გრძნობდნენ პირში უცნაურ მოტკბო გემოს.

მოგვიანებით, ამ ფარული ექსპედიციის ერთ-ერთმა მონაწილემ ყველაფერი უარყო, განაცხადა, მსგავსი არაფერი ყოფილაო და კიდევ ერთი ვერსია გააჟღერა — რეალური საფრთხე შეიძლება ტყვიის ქარხანა იყოს, რომელიც 2000 წელს გაკოტრდა და არარეალიზებული საქონელი ეგრევე დაიმარხა, უტილიზების გარეშეო.

ტყვიით ინტოქსიკაციაც იწვევს თავისტკივილს, სისუსტეს, თავბრუსხვევას, ვითარდება ენცეფალოპათია, კომატოზური მდგომარეობა, ნევროლოგიური, ფსიქოპათოლოგიური დარღვევები, თუმცა ამ ყველაფერთან ერთად ახასიათებს ღებინება და დიარეა, რაც ამ შემთხვევაში არც ერთ პაციენტს არ ჰქონია;

გარდა ამისა, როგორც გაირკვა, საბადოსთან ახლოს დაღვარეს გაურკვეველი მჟავა, ცისტერნაკი, რომელშიც სითხე ინახებოდა, მოსახლეობამ ჯართში ჩააბარა.

მეცნიერები არც იმას გამორიცხავენ, რომ ადგილობრივები მას შემდეგ დაავადდა, რაც მაღაროებიდან სხვადასხვა მეტალის გამოზიდვა დაიწყეს — შეუძლებელია, დაკონსერვებულ ურანს ასეთი მძიმე შედეგები გამოეწვია, ეს უფრო ქიმიური იარაღია, ვიდრე რადიაციაო.

რთულია გარკვევა, რეალურად რასთან გვაქვს საქმე. როგორც „ვერსიას“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული დეპარტამენტის ინსპექტირებისა და რეაგირების სამმართველოს უფროსმა, **ჯუმბერ მამასახლისმა** განუცხადა, **„არ შეიძლება ეს ყველაფერი გამოწვეული იყოს რადიაციით. სავარაუდოდ, ძილის ეპიდემია უფრო მწერის კბენის შედეგია — რაღაც ინფექციამ შეაღწია სისხლში. ასევე მოქმედებს მაგალითად ბუზი ცეცეს შხამი... ურანის მოქმედებას საერთოდ გამოვრიცხავ, ასევე ბირთვულ ფაქტორს, რადგან ასეთ შემთხვევაში ძილის ეპიდემია არ იქნებოდა და ეს ხალხი უბრალოდ დაიხოცებოდა. ვფიქრობ, დუსტი და სხვა ქიმიური ნივთიერებებიც გამოსარიცხია, რადგან სანამ ისინი ტვინამდე მიაღწევს, მანამდე კლავს ადამიანს, დიდი რაოდენობით თუა გამოყენებული... ასე რომ, ერთადერთ შესაძლო მიზეზად მაინც ტკიპის ნაკბენი მიმაჩნია, რომლის შხამმაც შეაღწია სისხლში და ტვინის გარკვეული უჯრედების გათიშვა გამოიწვია. რაც შეეხება საქართველოს, მსგავსი საფრთხე არ გვემუქრება“.**

თიბისი ბანკმა ფულადი გზავნილების გათამაშების 10 გამარჯვებული დაჯილდოვა

თიბისი ბანკის ფულადი გზავნილების გამარჯვებულები 5 000 და 1 000-ლარიანი ფულადი პრიზებით დაჯილდოვდნენ. 5 000 ლარის მფლობელები ზვიად ადეიშვილი, სვეტლანა მელნიჩუკი, ზაზა დავითაძე, ლალი შალიკიანი და სოფიკო ჩიხლაძე გახდნენ.

ფულადი გზავნილების გათამაშება 1 აპრილიდან, 10 იანვრის ჩათვლით მიმდინარეობდა და მასში ჩართული იყვნენ მომხმარებლები, რომლებმაც აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, თიბისი ბანკის საშუალებით, მიიღეს ან გაგზავნეს ფულადი გზავნილები.

მთავარი პრიზის, 5 000 ლარის ერთ-ერთი მფლობელი, **სოფიკო ჩიხლაძე**: **„დიდი ხანია, თიბისი ბანკის მომსახურებით ვსარგებლობ. ფულადი გზავნილების აქტიური მომხმარებელი ვარ, შემთხვევით გავიგე, რომ თიბისი ბანკში შემეძლო Intel Expres-ის გზავნილით მესარგებლა. თავიდანვე დიდი აზარტით ჩავერთე გათამაშებაში და ფინალურ ეტაპზე 5 000 ლარიც მოვიგე. ძალიან ბედნიერი ვარ და დიდ მადლობას ვუხდი თიბისი ბანკს, ამ სასიხარულო სიურპრიზისთვის“.**

მთავარ ფულად პრიზებთან ერთად, აქციის ფარგლებში, თიბისი ბანკმა სხვადასხვა პრიზებით 8 000-მდე მომხმარებელი დააჯილდოვა.

თიბისი ბანკსა და ახლა უკვე თიბისი კონსტანტას ფილიალებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, შესაძლებელია, ყველა წამყვანი ფულადი გზავნილების სისტემით სარგებლობა, როგორებიცაა: Western Union, Contact, IntelExpress, Zolotaya Korona, Anelic, Ria da Money Gram.

1. ნაზ-ბეწვიანი ცხვრის ჯიში
2. ყველაზე დიდი კონ-ტინენტი
3. ამომა-ვალი მზის ქვეყანა
4. მწერალი ... იოსე-ლიანი
5. დიდი ბერძენი ისტორ. და გეოგრაფი
6. დილის მგალობელი ფრინველი
7. მტკვრის უდიდესი შენაკადი
8. გარეული ვირი
9. სამად მოსაკეცი ხატი
10. სრუტე ადრიატიკის და იონის ზღვ. შორის
11. ქიმიური ელემენტი, ლითონი
12. მთის წაწვეტე-ბული მწვერვალი
13. კვირის პირველი სამუშაო დღე
14. ზღაპრუ-ლი ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
15. ისრაელის წარმოების ავტომატი
16. გასართობი მბრუნავი ატრაქციონი
17. ხვიარა ბალახოვანი მცენარე
18. შარდის ბუშტის ანთება
19. სამ-ატომიანი ჟანგბადი
20. გამოუწვავი აგური
21. ინტერნეტ-ტელეფონი
22. პარაზიტი ბალახოვანი მცენარე
23. სატე-ლევრაფო ანბანის ავტორი
24. ძვ. ებრაული წინასწარ-მეტყველი
25. ცუდი ამინდი
26. ტაივანის დედაქა-ლაქი
27. ბალახის ჩრდილი
28. ამერიკელი მომღერალი ქალი
29. ბოსნია-ჰერცე-გოვინას დედაქა-ლაქი
30. სომეხთა წმინდანი ქალი
31. ამერი-კული როკ-ჯგუფი
32. ეგვიპტის ფარაონი
33. წერა-კითხვის შესასწავლი წიგნი
34. მოსაცდელი დარბაზი თეატრში
35. მოკლე უვადო ხმალი
36. მდინარე ლონდონში
37. სვეტებიანი გალერეა
38. შეი-არაღებულ ადამიანთა ორგანი-ზებული ჯგუფი
39. „ნა-ტურა“ - ქართულად
40. ნატრიუ-მის ბიკარ-ბონატი
41. გერ-მანელი ნო-ბელიანტი მწერალი
42. ძვ. ფრანგული სიგრძის ერთეული
43. კიმონოს შესაკრავი ქამარი
44. ბრინ-ჯაო ძველ ქართულში
45. ვალის უზრუნველ-საყოფად ჩად. ნივთი
46. სამხ. აზიაში მცხოვრები ხალხი
47. სატე-ლეფონო „სიტყვა“
48. ბედი, ბედისწერა
49. პატარა ჩანთისანი ცხოველი
50. ზღვის დიდი კიბო
51. ცვი-ლის ფიგ. მუზეუმის დამაარს.
52. სამიზნე თოფის ლულაზე
53. ქუსლიანი ჯამი
54. უდიდესი სიზუსტე მათემატიკაში
55. პეპლების დასაჭერი ბადე
56. უმაღლესი დიპლომატ. რანგი
57. მუსიკალური საკრავების ხმის ჩამხ-შობი მოწყობილობა
58. ზღვის ორსაგდულ. მოლუსკის სახეობა
59. ფეხ-ბურთელი ... კოშტა
60. ბერძნული ანბანის ასო
61. თმის მცენა-რეული საღებავი

ბედნიერების ფორმულა დაადგინეს

ყველა ადამიანი განსხვავებულია და ბედნიერების ცნებასაც სხვადასხვაბაირად განმარტავს, თუმცა მაინც შეხვდებით ისეთებს, ვინც ხშირად ამბობს, რომ უბედურია და არაფერი ახარებს. სწავლულებმა ხანგრძლივი, 40-წლიანი კლევის შედეგად დაადგინეს, რომ ბედნიერებას ძირითადად სამი რამ — გენები, ივენთები და ღირებულებები განსაზღვრავს. ამერიკელი ფსიქოლოგები და ეკონომისტები ბედნიერების ფენომენს 1974 წლიდან იკვლევენ. საბოლოო ანალიზის გაკეთებაში კი გამოკითხულთა პასუხები დაეხმარა. სპეციალისტები ჩიკაგოს უნივერსიტეტიდან აცხადებენ, რომ წლების განმავლობაში კაცებზე მეტად, ქალები გრძნობდნენ თავს ბედნიერად მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ცხოვრებაში მამაკაცებზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ამასთან, ყველაზე ბედნიერიები კონსერვატორი მანდილოსნები არიან, ხოლო უბედურად თავს ლიბერალი მამაკაცები მიიჩნევენ. უდიდესი მნიშვნელობა აქვს გენსაც: თუ რომელიმე მშობელი, ბებია ან ბაბუა ხშირად ვარდება დეპრესიაში, შთამომავლებიც ასეტები არიან. მინესოტას უნივერსიტეტის სწავლულებმა რამდენიმე იდენტური ტყუპის ცხოვრება შეისწავლეს — ისინი სხვადასხვა ოჯახში იზრდებოდნენ და ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული გარემო ჰქონდათ, თუმცა ამას ხასიათზე არ უმოქმედია. რწმენას, ოჯახსა და მეგობრობას გაბედნიერება შეუძლია და ასევე მნიშვნელოვანია ღირსეული სამსახური. ეკონომისტების მტკიცებით, ფული ბედნიერებას მხოლოდ გაჭირვებულ ადამიანებს ანიჭებს, შეძლებულები კი სამსახურში სხვა ღირებულებებს აფასებენ.

ყველაზე ძვირადღირებული ქუჩები

ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი ცნობილი გამოცემის, „ფაინენშლ ნიუეის“ ექსპერტებმა მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ქუჩების რეიტინგი შეადგინეს, მასზე არსებული საცხოვრებელი ფართის ღირებულების მიხედვით. ყველაზე სასურველი და ძვირფასი ქუჩების სიაში პირველი ადგილი ჰონგკონგში მდებარე სევერნ როუდს ხვდა წილად. ამ ქუჩაზე ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართის 57 ათასი ევრო ღირდა, 2012 წლიდან კი ფასმა 9%-ით მოიმატა. მეორე ადგილზე ლონდონის კენსიგნტონ პალას გარდენი აღმოჩნდა. აქ ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი 55 ათას ევროს შეადგენს. საპატიო მესამე პოზიციაზე გავიდა მონაკოს პრინცესა გრეისის ავენიუ, სადაც ფართის ღირებულება, საშუალოდ, 50 ათასი ევროა. „მოწინავეთა რიგებშია“ შემი დე სენ ჰოფისის ქუჩაა საფრანგეთში. ამ ქუჩაზე მხოლოდ 15 სახლია, კვადრატული მეტრის ღირებულება კი — 45 ათასი ევრო. ამავე ფასად შეიძენთ საცხოვრებელ ფართს ნიუ იორკის სახელგანთქმულ მეხუთე ავენიუზეც. რაც შეეხება პარიზის ანატოლის სანაპიროს, აქ ერთი კვადრატული მეტრი 32 ათასი ევრო ღირს. სასურველი და ძვირადღირებული ქუჩების რეიტინგში მოხვდა ასევე ჟენევის რუ ბელოტი და იტალიის პატარა საკურორტო ქალაქ პორტო ჩერვოს ვია რომაჩინო.

ციფრები ადამიანის ხასიათს ეგაძცნობს

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ რომელიმე ციფრისთვის უპირატესობის მინიჭება ადამიანის ხასიათსა და თვისებებზე მოგვითხრობს. მაგალითად, ერთიანის სიყვარული იმის მანიშნებელია, რომ პიროვნება ეგოისტი და ინდივიდუალისტია. ვინც ორიანს ირჩევს, მიდრეკილია ბევრი ფიქრისა და განსჯისკენ და პესიმისტია. სამიანს ისეთი პიროვნებები ანიჭებენ უპირატესობას, რომელთაც შეუძლიათ საკუთარი უფლებების დაცვა, ოთხიანის მოყვარულები კი საიმედო, ერთგული ადამიანები არიან, რომელთა იმედიც ყოველთვის შეიძლება გქონდეთ. თუკი ადამიანი შემთხვევითი ციფრებიდან ხუთიანს ირჩევს, დიდი ალბათობით, იგი არამდგრადი ხასითით გამოირჩევა, ხოლო ვინც უპირატესობას ექვსიანს ანიჭებს, მეტად მშვიდი და მომთმენი ხასიათი აქვს. სპეციალისტების მიერ ჩატარებული გამოკითხვისას, რომელშიც 44 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, აღმოჩნდა, რომ ყველაზე ხშირად არჩევადი ციფრი შვიდიანია. ეს „ბედნიერი ციფრი“ პიროვნების სიბრძნესა და ჯანსაღ აზროვნებაზე მიუთითებს. რვიანს, ჩვეულებრივ, თავდაჯერებული ადამიანები ანიჭებენ უპირატესობას, ცხრიანი კი მათი საყვარელი ციფრია, ვინც აპათიისადმია მიდრეკილი და საკუთარი თავის შეცოდება უყვარს.

სუდოკუ

ადვილი

			3	9				
	8				4		3	1
	5			8		4		
2				6		7	5	
		9				1		
	1	4		5				9
		2		3			7	
8	6		2				4	
				4	8			

სტანდარტი

					3	9	8	7
			7	6				
	7		2		8	6		
	3	1		7				5
		8	4		2	1		
4				1		3	2	
		6	3		1		5	
				2	7			
3	8	2	6					

რთული

3			4	5			2	
					8			
	8	9		7				
	6		2			7		
	5	2		8		6	1	
		1			5		9	
				4		1	8	
			6					
	9			1	3			5

ექსპერტი

					6	1	9	8
			3					4
	5			1	7			3
		7	1			3		
8	4						6	1
		3			4	9		
7			9	4			1	
6					3			
4	9	5	6					

ჩვეულებრივ ექიმებთან ერთად მისი წონა მოკმედებს

სწავლულთა კვლევის თანახმად, რაც უფრო მეტს იწონის ჩვილი დაბადებისას, მით უკეთესი იქნება შემდგომში მისი მოსწრება სკოლაში. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ წონა გავლენას ახდენს ტვინის განვითარებაზე. ამის მიუხედავად, თუ ნაყოფი ბოლომდე (ანუ ცხრა თვემდე) რჩება დედის მუცელში და წონას იკრეფს, მისი კოგნიტიური უნარებიც უმჯობესდება. ეს ადვილი შესამჩნევი იყო ტყუპებზე ჩატარებული ექსპერიმენტებისას, რომლებიც უფრო მეტს იწონიდნენ დაბადებისას, ვიდრე მათი და-ძმები და შესაბამისად, მესამედან მერვე კლასის ჩათვლით მოსწრების საშუალო ქულები, მათთან შედარებით, უფრო მაღალი ჰქონდათ. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ წონა დაბადებისას ერთადერთი ფაქტორი არ არის, რაც გავლენას ახდენს ბავშვების განვითარებაზე, ასევე მნიშვნელოვანია მშობლების განათლება.

ბავშვებს „ბოროტი კლოუნით“ აშინებენ

სადღესასწაულო ცენტრებში, დაბადების დღეზე ბავშვებს საჩუქრებსა და ტორტზე მეტად, მათი გამრთობი კლოუნების ნახვა ახარებს. ამ ადამიანებს პატარების გამხიარულება ევალებათ, თუმცა არსებობს გამონაკლისიც, როცა კლოუნი პირიქით იქცევა — შვეიცარიელი დომინიკ დევილი სწორედ ამ ფუნქციას ასრულებს, იგი „ბოროტი კლოუნია“ და ბავშვების შეშინებისთვის უხდიან ფულს. კლოუნს საკმაოდ შემოსავლიანი ბიზნესი ჰქონია. მშობლები დომინიკს ბავშვის დაბადების დღემდე ერთი კვირით ადრე ქირაობენ და ამ ხნის განმავლობაში იუბილარის შეშინებას ცდილობს: „მსხვერპლს“ საშინელ მესიჯებს უგზავნის, ურეკავს და ეუბნება, რომ მასზე ნადირობენ და შეიძლება თავს დაესხან, ეხუმრება და თან გარკვეული დისტანციიდან უთვალთვალებს. დაბადების დღეზე „ბოროტი კლოუნი“ მოულოდნელად გამოჩნდება და ტირტით ხელში ბავშვზე „თავდასხმას“ ცდილობს. თუ პატარამ თავი ვერ დაიცვა, მას ნამცხვარს სახეში შეაზელს, თუკი ხელიდან დაუსხლტება, ტორტს საჩუქრად იღებს. „ბოროტი კლოუნის“ საქმიანობა ნებისმიერ დროს შეიძლება შენყდეს, თუკი მშობლები შეატყობენ, რომ პატარას სერიოზულად შეეშინდა. თუმცა, ასეთი ფაქტი დომინიკის გამოცდილებაში არ ყოფილა, რადგან მისი ოინები ბავშვებს ძალიან მოსწონთ.

ხელის თხოვნა ხალხის ევაკუაციით დასრულდა

საყვარელი ადამიანისთვის ხელის თხოვნის ორიგინალური მცდელობა საცხოვრებელი სახლის სახურავის ჩანგრევითა და მაცხოვრებლების ევაკუაციით დასრულდა. ქალაქ ეისელსტეინში მამაკაცმა ამწე იქირავა და მისი მეშვეობით შეყვარებულის ფანჯარასთან მიახლოება სცადა, რათა სერენადა ემღერა და ხელი ეთხოვა. თუმცა, აღმოჩნდა, რომ ამწეს კრანი კარგად არ იყო დამაგრებული, რის გამოც გვერდზე გადაიხარა და მეზობელი სახლის სახურავი ჩაანგრია. სასიძოც ჩამოვარდა, მაგრამ იღბლიანად დაეცა და არ დაშავებულა. საბედნიეროდ, გადარჩნენ დაზიანებული სახლის მცხოვრებნიც, რომელიც იმ მომენტისთვის ბინაში იმყოფებოდნენ. კრანის აწევის მცდელობამ კი უფრო მეტი ნგრევა გამოიწვია და მეზობლად მდგარი ორი სახლიდანაც ხალხის ევაკუაცია გახდა საჭირო. მიუხედავად ასეთი წარუმატებელი მცდელობისა, მამაკაცის ძალისხმევამ შედეგი გამოიღო — შეყვარებული ცოლობაზე დათანხმდა. პოლიციაში ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ, წყვილი პარიზში გაემგზავრა ნიშნობის აღსანიშნავად.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

7	4	3	8	9	6	5	2	1
6	5	1	4	2	3	8	9	7
2	9	8	1	7	5	4	6	3
4	3	7	6	1	9	2	8	5
5	6	2	3	8	7	1	4	9
1	8	9	2	5	4	7	3	6
3	2	6	7	4	1	9	5	8
8	7	5	9	3	2	6	1	4
9	1	4	5	6	8	3	7	2

სტანდარტი

4	6	1	5	9	3	2	8	7
3	7	2	1	4	8	6	5	9
9	8	5	7	2	6	4	3	1
8	5	9	6	3	7	1	4	2
2	4	3	9	1	5	8	7	6
7	1	6	4	8	2	3	9	5
1	3	8	2	7	9	5	6	4
6	2	7	3	5	4	9	1	8
5	9	4	8	6	1	7	2	3

რთული

1	7	9	2	8	6	5	4	3
3	4	8	7	5	1	2	9	6
6	5	2	9	4	3	1	8	7
4	2	3	8	7	5	6	1	9
9	1	7	6	3	4	8	2	5
8	6	5	1	2	9	7	3	4
7	3	1	5	9	2	4	6	8
5	9	6	4	1	8	3	7	2
2	8	4	3	6	7	9	5	1

ექსპერტი

8	9	7	5	6	3	4	2	1
2	6	4	1	9	8	7	5	3
1	5	3	7	4	2	9	8	6
7	4	6	8	5	9	3	1	2
9	3	2	6	7	1	8	4	5
5	1	8	2	3	4	6	9	7
6	8	5	9	2	7	1	3	4
4	2	1	3	8	6	5	7	9
3	7	9	4	1	5	2	6	8

მე-10 გვერდი: 1. გერუსია; 2. გიბრალტარი; 3. რარიტეტი; 4. სლაი; 5. ამია; 6. ანტრაქტი; 7. ნამუსი; 8. რანეტი; 9. ქეცბაია; 10. აბორდაჟი; 11. ლუარა; 12. იმამი; 13. კრინი; 14. ამუნიცია; 15. ოკულისტი; 16. ნაფაზი; 17. ჯამი; 18. ალტი; 19. ამარეტო; 20. არამეული; 21. „სანტოსი“; 22. აკუსტიკა; 23. იაიკი; 24. ალი; 25. ტატამი; 26. მაყვალა; 27. არეალი; 28. ფატა; 29. არიმანი; 30. ყაზახეთი; 31. ალაო; 32. კალია; 33. ზოდი; 34. დეკანი; 35. ონისე; 36. აზნავური; 37. ხიხვი; 38. ბრა; 39. ისევ; 40. იდეა; 41. ვირი; 42. ახო; 43. სესხი; 44. სკრა; 45. აია; 46. აბრა; 47. ელდა; 48. შტატი; 49. სკა; 50. ტიტინი; 51. თვე; 52. ჭეო; 53. კაი; 54. ბუსიდო; 55. ესე; 56. სტევი; 57. საკე; 58. კოდა; 59. სპა; 60. ხილი; 61. ვეა; 62. რისვი; 63. ოკა; 64. კი; 65. ვარნა; 66. იაკი.

მე-12 გვერდი: 1. ადრესი; 2. დოქსოპულო; 3. ეპიორნისი; 4. აფექტი; 5. ფედერერი; 6. ქსანთიპე; 7. ოქსინო; 8. გოლი; 9. მარგო; 10. იდეალი; 11. ადა; 12. მათარა; 13. იპონი; 14. მძორი; 15. ტრაპი; 16. „მწირი“; 17. „ულისე“; 18. ფიდე; 19. ლატი; 20. კაი; 21. ავსტრალია; 22. „აჩრდილი“; 23. პნომპენი; 24. ალისა; 25. კელნერი; 26. კლავესინი; 27. ალო; 28. ხალიფა; 29. ოლე; 30. დიუბეკი; 31. ტასია; 32. მესა; 33. ლავრა; 34. ჩანახი; 35. ველვეტი; 36. იდო; 37. ბანჯო; 38. ლიოტარი; 39. ვატერლოო; 40. დომინო; 41. რემა; 42. ეგერი; 43. ლაერტი; 44. რაკურსი; 45. ნოტიო; 46. ერი; 47. ტიტრი; 48. სიამი; 49. ალია; 50. ოსირისი; 51. ბენინი; 52. ნაია; 53. კერვა; 54. რომბი; 55. „ნაიკი“; 56. ფსი; 57. სოროსი; 58. ორბი; 59. არაგვი; 60. მეტრეველი; 61. უდე; 62. ოდა; 63. აიკიდო; 64. ნოკია; 65. სია; 66. ადონაი; 67. აგრა; 68. ბარდი; 69. ენგრი; 70. ელე; 71. „დარიკო“; 72. დუნაი; 73. იანი; 74. ინა; 75. სოლ; 76. პინა; 77. რისლინგი; 78. პიტნა; 79. ვაი; 80. ოვიედო; 81. არაბია; 82. ლადა; 83. პაი; 84. ენიო.

გართოება



1. ძველი თბილისის კოლორიტი, ხელზე მოვაჭრე
2. „თეთრი ოქრო“
3. კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი
4. შინაური თხის ერთ-ერთი წინაპარი
5. სკანდინავიელთა უზენაესი ღმერთი
6. მუს. ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი
7. რაიმეს უკვდავსაყოფად აგებული არქიტექ. ნაგებობა
8. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში
9. პირისახე წინიდან
10. ბოროტი სული გოეთეს „ფაუსტში“
11. კბილებიანი ვეშაპი
12. სახის მიმიკის მოშლა
13. ქალაქი ისრაელში
14. მთელი ეკიპაჟის მუშაობა გემზე
15. ფსიქიკური დაავადება: მკვლელობის მანია
16. ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
17. მოძრავი სხეულის ასსლეტა ზედაპირიდან
18. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული განცხადება
19. „... შეიქმს სიყვარულსა
20. კარგი ამინდი
21. სტენდალის ნამდვილი გვარი
22. ირლანდიის რესპუბლიკური არმია
23. „რომაული არდადეგების“ რეჟისორი
24. მიწათმოქმედი გლეხი სპარტაში
25. არაოფიციალური მაკლერი ბირჟაზე
26. 2014 წ-ის საუკეთესო ფეხბურთელი
27. საგაზაფხულო ხორბალი
28. შლიმანის მიერ აღმოჩენილი ქალაქი
29. დროებით გაბატონებული გემოვნება
30. მუხის ნაყ.
31. სასიგნალო ტივტივა წყალზე
32. უდაბნო ჩილეში
33. მდინარიდან გამომავალი წყარო
34. ეთერზეთოვანი მცენარე
35. სწორად აზრდილი ხე
36. ინდიელთა ტომი
37. ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთება
38. ხერხემლის ქვედა ნაწილი
39. ტრადიციული ფრანგული ფუნთუშა
40. კუნძული პარიზში
41. აბრეშუმის ან შალის მკვრივი ქსოვილი
42. საკონდიტრო ნაწარმი
43. ბასკ ტერორისტთა ორგანიზაცია
44. ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი
45. იგივეა, რაც მინანქარი
46. ფუჭი, უშედეგო
47. შიშველი სხეული ფერწერაში
48. მსახიობი ... გიბსონი
49. გრიგოლ ორბელიანის მეგობარი
50. ძრავის ასამოქმედებელი მოწყობილობა
51. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
52. ნამდვილად არსებული ნივთი
53. ქალაქი შოტლანდიაში
54. ჩინეთის ვალუტა
55. მსახიობი ... გრანტი
56. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
57. ოჯახიდან წასული მამის გადასახადი
58. ამაზონის დელფინი
59. სამოთხის ბაღი
60. კოლუმბის ერთ-ერთი კარაველა
61. ქიმიური ელემენტი, ტუტე ლითონი
62. ცენტრ. ევროპის ერთ-ერთი უდიდესი მდინარე
63. იაპონიის ერთ-ერთი კუნძული
64. ლეგენდარული ჩეხი ჰოკეისტი
65. თვლებიანი მომცრო საზიდარი
66. რაიმე თხზულების ნაწილი ცალკე წიგნად
67. მხარზე გადასაკიდი ნაჭრის ჩანთა
68. ტარიელის მამა „ვეფხისტყაოსანში“
69. სანათ გაზში შემავალი ნივთიერება
70. ისტ. მხარე სამხრეთ საქართველოში
71. ბავშვის შესაშინებელი საფრთხობელა
72. რეკორდების წიგნი
73. საშობაო სიმღერა
74. იაპონ. პრინცესა. სამხედ.
75. შეიხის მონამორჩილი
76. ლურჯი მინერალური სარეცხავი
77. ძროხის „ნობათი“
78. სათამაშო კოჭის მთავარი გვერდი
79. ძვ. ფრანგული ხურდა ფული
80. დიდი ნემსი
81. სუსტი ერთნახადი არაყი
82. იაპონური სამსიმიანი მუსიკალური საკრავი
83. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
84. ტოკიოს ძველი სახელწოდება
85. ნბა-ს ყოფილი ვარსკვლავი
86. ვირტუოზი მევიოლინე ვანესა ...
87. ესპანეთის ნაკრების ექსკაპიტანი

სულიერი საზრდოს ტალონებს არიგებენ

ესპანეთის ავტონომიური ოლქის — ესტრემადურას ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ახალგაზრდებს სულიერი საზრდო ტალონებით მიაწოდოს. ვაუჩერების გაცვლა აქაურ მოზარდებს წიგნებზე, DVD-დისკებზე, კინოს, თეატრის, მიუზიკლის ბილეთებზე, ასევე ელექტრონულ ან ბეჭდვურ პრესაზე შეეძლებათ. რვა ტალონს მიიღებს ესტრემადურას ყოველი მოქალაქე 18-დან 30 წლამდე, მხოლოდ ერთხელ და არ ექნება უფლება ისინი სხვას გადასცეს. ამ პროექტისთვის მთავრობამ ბიუჯეტიდან 384 ათასი ევრო გამოყო. ადგილობრივი ხელისუფლების მიზანია, ამ პროექტით ხელოვნება და განათლება ხელმისაწვდომი გახადონ ავტონომიის 12 ათასი მცხოვრებისთვის.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.